

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები  
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



ცისლე მუსავაჲ

MIKHEIL KORKIA

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguja Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenashvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსულან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsauri**

ტექსტი  
დავით ჭელიძე

TEXT  
**David Chelidze**

დიზაინი  
ვახტანგ შატაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქტორი  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზალ წერაფარძე, ინგა ალავიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
მიხეილ ზარგარიანი, გივი კიკვაძე, იური სომოვი,  
ალექსანდრე კოტორაშვილი, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

PHOTO  
**Mikhail Zargaryan, Givi Kikvidze, Yuri Somov,  
Aleksandre Kotorashvili, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)**

პარტნიორი  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა  
საქართველოს კალათბურთის ფედერაცია

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee  
Georgian Basketball Federation**

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

# მისამართი

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია  
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION



მიხეილ ქორქიას ბავშვობაში ქუთაისში კალათბურთის ბუმი იყო, სულიკო თორთლაძის სახელი ბევრმა იცოდა, იცოდნენ ისიც, რომ ამ ახალგაზრდა მნერთნელს უკვე ჰყავდა ნაპოვნი ერთი უნიჭიერესი ბავშვი და, როგორც იტყვიან, იმას ძერწავდა. პატარა ზურიკო საკანდელიძეზე მაშინ უკვე ლაპარაკობდნენ სპეციალისტები, მისი დიდი დახმარებით ქალაქის ბავშვთა გუნდმა რამდენიმე ტურნირი მოიგო, საკავშირო შეჯიბრებებშიც მიიღო მონაწილეობა და იქიდანაც ხელდამშვენებული დაბრუნდა.

პატარა ქალაქში ამის შესახებ ხმა მაშინვე გავარდა. ამაზე ლაპარაკობდნენ ყველა სკოლაში, ყველა ოჯახში. მიშას მამა, შოთა ქორქიაც თამაშობდა კალათბურთს და მასაც მოჰქონდა ამბები შინ. თავისი ძმის, დიდი ოთარ ქორქიას სპორტული ცხოვრების მაგალითებსაც ხშირად გაიხსენებდა და ამით უფრო ამდიდრებდა სათქმელს, სულიკო თორთლაძეს აქებდა, ჩემი მეგობარია და კარგად ვიცი, თავისი დაუკავებელი ბუნებით, დღედაღამ ბავშვებსა და კალათბურთზე ფიქრით რამდენს მიაღწია.

მამას მიშიკო ხშირად დაჲპყავდა ლითოფონის ქარხნის კლუბშიც, სადაც ქალაქის პირველობის მატჩები იმართებოდა.

პატარა მიშიკო უფრო და უფრო ინტერესდებოდა მამის ნაამბობით, რალაცას ჩაეკითხებოდა ხოლმე და ყურებდაცქვეტილი უსმენდა, ცქმუტავდა, საკუთარ თავს წარმოიდგენდა „სულიკო თორთლაძის დარბაზში“, სადაც ერთხელაც არ შეუხედავს და ამიტომაც ეს ერთი ბეწო, შუაზე გაყოფილი დარბაზი (მეორე წახევარში მოკრივები ვარჯიშობდნენ) გაბრდდვიალებულ სასახლედ წარმოედგინა... სულ უფრო მეტი ინტერესით უთვალთვალებდა ქალაქის ქუჩებში თანატოლ ბიჭებს, სკოლის შემდეგ ზურგზე სპორტულჩანთაგადაკიდებულები სავარჯიშოდ რომ მიიჩქაროდნენ.

ერთი სიტყვით, ეტყობოდა, რომ ბავშვი თანდათან „მოიწამლა“ კალათბურთით, თუმცა... ბატონმა შოთამ კარგად იცოდა თავისი ძმის ამბავი, თვეობით ოჯახს რომ იყო მოწყვეტილი. ის დიდი სპორტსმენია და თავისი გზა მონახა ცხოვრებაში, მაგრამ ეს ღლაპი სად გავუშვა, რა შეიძლება გააკეთოს, ტყუილად დაკარგავს დროს და სკოლაში მეცადინეობასაც მოსცდებაო, — ფიქრობდა. შენი საქმე სწავლაა, ბურთს უშენოდაც კარგად ითამაშებენო, — უთხრა აფორიაქებულ შვილს. ბატონმა შოთამ ისიც იცოდა, რა ძნელი იყო სულიკო თორთლაძის შეგირდობა. რამდენი შრომა, რა


ჯოჯოხეთური გზის გავლა დასჭირდებოდა მეოცნებე მოზარდს მიზნის მისაღწევად. მას თავისი ერთადერთი ბიჭის ცხოვრება სხვაგვარად წარმოედგინა. ომგამოვლილ საქართველოს ახალგაზრდა, ენერგიული მეცნიერები, სწავლულები სჭირდებოდა და პატარა მიშიკოსაც ამ გზას უწინასწარმეტყველებდა. თვითონ ინჟინერი კაცი იყო და იცოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის ახალგაზრდა კადრებს. ამან კი ბურთი ამოიჩემა... არა, მამა სასტიკ უარზე დადგა!

მხოლოდ იმას თუ ვიტყვით, ბიჭს ვარჯიშის სურვილი აღეძრაო, ბავშვის გრძნობას ნამდვილად ვერ გამოვხატავთ.... ქალბატონ ნანულის არ გამოჰპარვია შვილის უეცარი, მკვეთრი გარდაქმნა, შეატყო, რომ ალგ ზნებული დადიოდა. წიგნს უკვე ნაკლებ დროს უთმობდა, აღარც სკოლაში მიუხაროდა უწინდებურად. მიხვდა, რომ გამოსავალი ისევ მიშიკოს კალათბურთზე მიყვანა იყო, მაგრამ მეუღლეს ამის გაგონებაც არ სურდა...

ადგა და ქმრის უჩუმრად წაიყვანა შვილი სპორტულ დარბაზში, სულიკო თორთლაძეს ჩააბარა — თქვენს იქთ გზა არა მაქვს. დაუჩემებია, კალათბურთზე სიარული მინდაო. სხვა აღარაფერი აინტერესებს. თქვენი იმედი მაქვს, იქნებ თქვენებურად შეუფერხუნოთ, რომ სწავლაზე სულ არ აიცრუოს გულიო. თან სთხოვა, ეს ამბავი შოთას ყურამდე არ მივიდეს, გაბრაზდებაო. სამ წელინადს უმაღლავდნენ ოჯახის უფროსს ამ ამბავს — ხან კინოშია ნასულიო, ეტყოდნენ, ხან მეგობრებთან, ხანაც ნათესავებთანო. ასე ატყუებდნენ, როცა ბატონი შოთა შვილს მოიკითხავდა.

იმ დროს მიშიკო მეხუთე კლასის მოწაფე იყო.

სულიკო თორთლაძეს მაშინვე მოეწონა ბიჭი. ბურთისა და თამაშის მოყვარული ბავშვების მეტი რა ენახა, მაგრამ ამ ყმანვილში სხვა ძვირფასი თვისებაც შენიშნა: შეატყო, რომ მას არ აკმაყოფილებდა ერთ-და ორსაათიანი ვარჯიში. გარდა ამისა, მეორე თუ მესამე გაკვეთილზევე შენიშნა, რომ მას სხვაზე უკეთ ჰქონდა ათვისებული წინა დღეს შესწავლილი ვარჯიშები. ამასთან, ისიც გაიგო, რომ დილაუთენია თუ დაღამებამდე ბიჭი ეზოში ვარჯიშობდა, სპორტსკოლაში დროზე ადრე მიდიოდა და ყველაზე გვიან ტოვებდა იქაურობას. ლამით, დაწოლის წინ კი სასთუმალთან დაილაგებდა განკრიალებულ სპორტულ ფორმას, ისე საგულდაგულოდ ემზადებოდა მეორე დღის ვარჯიშისთვის, გეგონება, აღლუმზეა გასასვლელი.



სულიკოს მოსწონდა ყმაწვილი კაცის ეს ფასდაუდებელი თვისება, უზო-  
მო შრომისმოყვარეობა. ისიც ძალიან სიამოვნებდა, წაგებული მატჩის შემ-  
დეგ მიშა ცრემლს რომ ვერ იყავებდა და არაერთხელ უტირია კიდეც...

თამაშის წინ მასწავლებელს სხვისთვის რომ ნოტაციები უნდა ეკითხა,  
წაექეზებინა, დაემუხტა, მიშიკოს ეს არ სჭირდებოდა, მისთვის ეს ზედმეტი  
იყო, ის კი არა, შეიძლება ამით სულაც გაეფუჭებინა საქმე. პირიქით, მატჩის  
დროს მწვრთნელს ხშირად უხდებოდა მოთამაშის დაოკება, დაშოშმინება. ეს  
კი არ იყო იოლი — თამაშში რომ ჩაერთვებოდა, ძნელად თუ გააგონებდი რა-  
მეს, სულ მეტოქის კალათისეკნ მიისწრაფოდა და მთელი არსებით ბრძოლა-  
ში იყო ჩართული. დიახ, ბავშვობიდანვე ასე იყო. მეხუთე კლასიდან მოყოლე-  
ბული კალათბურთით ვცხოვრობდი და სხვა არაფრის გაგონება არ მინდო-  
და, უკალათბურთოდ არსებობაც ვერ წარმომედგინაო — მერე, სიჭარმაგეში  
ამბობდა მიხეილ ქორქია.

ამ შეუცოვარმა, მართლაც თავდაუზოგავმა შრომამ, მუდამ უკეთესის-  
კენ, პირველობისკენ ლტოლვამ თავისი ქნა და პირველი ვარჯიშებიდან სულ  
ცოტა ხანში მიხეილ ქორქია შეუცვლელ მოთამაშედ იქცა ქალაქის მოსწავ-  
ლეთა ნაკრებში. მისი ნიჭი და შრომისმოყვარეობა არც თბილისში დარჩენი-  
ათ შეუმჩნეველი, სულ უფრო და უფრო ხშირად იწვევდნენ საქართველოს  
ნაკრებში. ყველა გაოცებული იყო ამ პატარა ბიჭის დაუოკებელი, უშრეტი  
ენერგიით და გასაკვირი სულაც არ იყო, რომ დიდ ნიჭზე მეტად უდავოდ მი-  
შიკოს ეს თვისებები ხიბლავდა სპეციალისტებს.

უკვე საკავშირო პრესაშიც აღაბარაკდნენ მასზე. „სოვეტსკი სპორ-  
ტის“ 1965 წლის 20 ივლისის ნომერში დაიბეჭდა სსრ კავშირის ახალგაზ-  
რდული ნაკრების მწვრთნელის სერგეი ბაშკინის წერილი („კალათბურთი  
სამი განზომილებით“), ჭაბუკი მიშიკო ქორქიას სამი ფოტოს თანხლებით,  
რომლებსაც ავტორმა თავისი კომენტარი დაურთო. ეს საკმაოდ ვრცელი  
საგაზირო სტატია მინსკში გამართულ მოსწავლეთა IX სპარტაკიადას შე-  
ეხებოდა. ავტორმა პარალელები გაავლო საქართველოს მოსწავლეთა ნაკ-  
რების წევრისა და მიხეილის ბიძის, დიდი კალათბურთელის, ოთარ ქორ-  
ქიას თამაშზე და სათქმელი მთელ იმდროინდელ ბავშვთა კალათბურთზე  
განაზოგადა.

ეს უკვე დიდი აღიარება იყო.



...მიშას კი საერთოდ აუცრუვდა გული სწავლაზე, მაგრამ სულიკო თორ-თლაძე ამას არ დაუშვებდა!.. ერთხელ ბატონ სულიკოს მიშიკოს სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი შესვდა და შესჩივლა: ჩემს გაკვეთილზე შე-მოსვლა აღარ ნებავს და, შენიშვნა რომ მივეცი, უზრდელადაც მიპასუხაო.

გაცეცხლდა, მაგრამ რა გაცეცხლდა მწვრთნელი!

მიხეილ ქორქიამ ასე გაიხსენა მისთვის ეს უსიამოვნო ბავშვობისდრო-ინდელი ეპიზოდი:

„თავი უკვე ჩამოყალიბებულ კალათბურთელად რომ წარმოვიდგინე, სკოლის ფიზკულტურის გაკვეთილზე გული ავიცრუე, სრულიად ზედმეტად მივიჩნიე და ამის გამო მასწავლებელთან უსიამოვნო შელაპარაკებაც მომიხ-და. სწორედ იმ დღეს იყო, ვარჯიშზე რომ მივედი, გასახდელში ოცი-ოცდა-ხუთი ბიჭი ჩვეულებრივ შევგროვდით, ორ გუნდად დავიყავით და ორმხრივი თამაშისთვის, სპარინგისთვის ვემზადებოდით. სულიკო არ ჩანდა, იგვიანებ-და, რაც წარმოუდგენელი ამბავი იყო — ამისთანა რამ მანამდე არ მომხდარა! გავიდა ათი წუთი, ის კი არ ჩანდა. დარბაზში უმისიოდ როგორ შევიდოდით!

ვისხედით, ვლაზლანდარობდით და უცებ თავზე არ წამოგვადგა?! — არც ასეთი გაალმასებული მინახავს მანამდე. მაშინვე ფეხზე წამოვხტიოთ და გავიჯგიმეთ. ჩემკენ გამოიხედა — „შენ, ბიჭო, ანჩისხატივით რომ დაყუდე-ბულხარ, მოდი აქ!“ მივედი, მაგრამ ვაი, იმ მისვლას! რა არის, სულიკო მას, რა მოხდა-მეთქი? — აკანკალებული ხმით ვკითხე. ახლა გაჩვენებ, რაც არი-სო და თავისი უზარმაზარი ტორით სახეში გამარტყა. ახლაც მახსოვს ის ხმაც და ისიც, როგორ მეტკინა, ლამის იყო, სახე ჩამინგრია! „შენ როგორ გაბედე და ფიზკულტურის მასწავლებელს შეაგინე! კაცმა რეკომენდაცია გაგინია, სპორტსკოლაში წამოსვლის ნება დაგროვ და ასე უფასებ?! ხვალ მეც ხომ ამასვე მიზამ და ისევე გამიცდენ ვარჯიშს!“ და კიდევ მომდო... მტრისას, თუ გაბრაზდებოდა, თვალებიდან ცეცხლებს ყრიდა!“

ის სილა სიცოცხლის ბოლომდე გველის ნაკერნივით ახსოვდა მიხეილ ქორქიას. იმ შემთხვევის შემდეგ არც არავისთვის მიუშვერია ლოყა და, რაც მთავარია, არც არასოდეს დაუმსახურებია ასეთი რამ!

...ოთარ ქორქია ხშირად ურეკავდა ხოლმე ცალკე სულიკოს, ცალკე მი-შიკოს, დაწვრილებით გამოჰკითხავდა აბბებს. ბატონი ოთარი უკვე თბი-ლისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი იყო და ერთი სული ჰქონდა, თავის

გუნდში მიეღო დავაუკაცებული ძმისშვილი, რომელზეც უკვე ამდენს ლაპარაკობდნენ სპეციალისტები, მწვრთნელები, რომლითაც იამაყებდა, რომლის დახმარებითაც ბევრ დასამახსოვრებელ გამარჯვებას მოიპოვებდა!..

და ოთარმაც აღარ დაახანა მისი გუნდში მიწვევა, მით უმეტეს, „დინამოში“ მაღლე უნდა დაწყებულიყო თაობათა ცვლა და ახალგაზრდებიდან უკეთესს ვის მიიყვანდა, თუ არა მიშას.

ძმისშვილით ასე იმიტომაც დაინტერესდა, რომ მიშიკომ, მეცხრე კლასიდან მეათეში რომ გადადიოდა, ერთბამად აიყარა ტანი, მთელი 17 სანტიმეტრი მოიმატა სიმაღლეში, ბიძასაც კი გაასწრო!..

თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდში მოხვედრა დიდი პატივი იყო ნებისმიერი ახალგაზრდა კალათბურთელისთვის, დიდი პატივიც და დიდი პასუხისმგებლობაც. ამავე დროს, დიდი სტიმულიც. რაც უნდა თავკერძა, თავნება, დაუდგრომელი ბიჭი ყოფილიყავი, ახალ, უკვე ჩამოყალიბებულ და შეკრულ კოლექტივს უნდა შეჰქონია ერთობლივ 60-იანი წლების დასაწყისში, მაშინ, როცა მიხეილ ქორქია ქვეყნის უპირველეს გუნდში მიიწვიეს, იქ ვარსკვლავები თამაშობდნენ: გურამ მინაშვილი, ზურაბ საკანდელიძე, ვალერი ალთაძევი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ანზორ ლეჟავა, ლევან მოსეშვილი, ამირან სხიერელი... .

1965 წლის ზაფხული იდგა, „დინამო“ ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებდა და ახალმისული ქუთაისელი ყმანვილიც დიდი ამბით ელოდებოდა ამ სანატრელ დღეს.

მაგრამ სწორედ ამ დროს იგი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოიძახეს, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა.

როგორც ვნახეთ, ბაშკენს ახალგაზრდა ქორქიას თამაში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჰქონდა ნანახი, მაგრამ ბოლო ხანს მასზე დაკვირვების საშუალება არ მისცემია. ამიტომაც დიდი ინტერესით დაესწრო მოზარდთა საკავშირო ნაკრების წვრთნას, სადაც მიშა თამაშობდა. უმაღლ შენიშნა, რომ ბიჭი რამდენიმე თვეში კიდევ უფრო გაძლიერებულიყო და ეს ესიამოვნა, მწვრთნელსაც დაელაპარაკა და ამ ბიჭზე რაღაც-რაღაც გამოჰკითხა...

ერთი სიტყვით, მიხეილ ქორქიამ საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი და, მწვრთნელი რომ ვერც კი წარმოიდგენდა, ისე კარგად ითამაშა. გუნდს იტალიაში (პორტო — სან-ჯორჯიო) გამართულ ეპ-



როპის II ჩემპიონატის მოგებაშიც (1966 წლის სექტემბერ-ოქტომბერი) და-ეხმარა და ამ შეჯიბრებაზე ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელის მცირეოქროს მედლითაც დაჯილდოვდა.

დეკემბერში საბჭოთა კალათბურთის 60 წლისთავთან დაკავშირებულ ტურნირში საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა და ეს იყო მიხე-ილ ქორქიას პირველი გამოსვლა ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში.

1967 წლის 6-7 ივლისს გაიმართა საქართველოს ნაკრებისა და პრალის „სპარტას“ ამხანაგური მატჩები. ჩვენი გუნდი მაშინ სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის ემზადებოდა. ორივე შეხვედრაში მასპინძლებმა იმარ-ჯვეს. 8 ივლისის „ლელოში“ პირველად გამოქვეყნდა მიხეილ ქორქიას ფო-ტოსურათი.

ევროპის 1967 წლის ჩემპიონატის შემდეგ (ჰელსინკი), სადაც ზურაბ სა-კანდელიძე მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი, გადახალისდა საბჭოთა ნაკრე-ბის შემადგენლობა და ათკაციან გუნდში პირველად მიინვიეს მიხეილ ქორქია.

აქ გვინდა კიდევ ერთი ამბავი გავიხსენოთ. თბილისელმა გულშემატ-კივრებმა ადგილობრივი „დინამოს“ შემადგენლობაში მიხეილ ქორქია პირვე-ლად მხოლოდ 1968 წლის 8 თებერვალს, სსრ კავშირის 35-ე ჩემპიონატის მე-19 ტურში, კაუნასის „უალგირისთან“ მატჩის (79:65) მეორე ტაიმში იხილეს, რომელშიც მან ვლადიმერ უგრეხელიძის შემდეგ (19) ყველაზე მეტი ქულა შესძინა გუნდს — 18.

ამ შეხვედრისთვის, თბილისის სპორტის სასახლეში პირველად გამოს-ვლისთვის, მიხეილ ქორქია საგანგებოდ ემზადებოდა. იოლი არ იყო მომ-თხოვნი და მრავლისმნახველი თბილისელი მაყურებლის გულის მოგება. არადა, თავიდანვე, პირველივე მატჩიდან თუ არ გამოიჩენდა თავს, მერე და მერე სულ უფრო გაუჭირდებოდა.

ქორქიასთანა ემოციური და ბობოქარი სპორტსმენისთვის ძალიან ძნე-ლი იყო ნერვების მოთოვვა, დინჯი, განონასნორებული თამაში და იმ პერი-ოდში ამას ვერც შეძლებდა. მეორე მხრივ, შეუპოვარ, ცეცხლოვან თამაშს ეგებ მსაჯების ფოლებიც მოჰყოლოდა, მით უმეტეს, როცა ბრძოლაში მთე-ლი არსებით იყო ჩართული, ხშირად თავს ველარ აკონტროლებდა.

გუნდის მწვრთნელმა, ლევან ინწყირველმა ტაიმებს შორის შესვენები-სას დებიუტანტს ახარა, მოედანზე გასასვლელად მოემზადეო. პირველ ტა-




**მხრებჩამოყრილი,  
უემოცო, მიხელ ქორქია  
არავის ახსოებს, მთელი  
თავისი სპორტული ცხოვ-  
რების განნავლობაში, მოუ-  
დაწევ იყო თუ სათადარი-  
გო სკამზე სულის მოსათ-  
ქმელად რამდენიმე წამით  
ჩამომჯდარი, ერთთავად  
ბრძოლაში იყო ჩაბმული,  
მსხვერპლზე დასაძგერებ-  
ლად გამზადებული ფაფა-  
რაშლილი ლომივთ!**

იმს „დინამო“ 4 ქულით აგებდა. 19 წლის მიშას ზედმეტი მომზადება არ სჭირ-  
დებოდა, ის ამ დღეს დიდხანს ელოდა და შეძლო კიდეც თავის გამოჩენა: 15  
სათამაშო წუთში 18 ქულა დააგროვა. მართლაც ბრწყინვალე შედეგია! მა-  
ყურებელმაც გულთბილად მიიღო და შეხვედრის შემდეგ ტაშითაც გააცილა  
მოედნიდან.

რაღა თქმა უნდა, მატჩის შემდგომი საგაზეთო რეცენზიაც დადებითი  
იყო: „პირველი 20 წუთი ორივე გუნდმა უფერულად ჩაატარა: იყო პევრი შეც-  
დომა, ტექნიკური წუნი და ამის გამო თამაშიც მეტად უინტერესო გამოდგა.  
მასპინძლებმა პირველ ტაიმში თავიანთი შესაძლებლობის მინიმუმიც კი ვერ  
გამოავლინეს.“

შესვენების შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ინიციატივა მტკი-  
ცედ იგდეს ხელთ თბილისელებმა, რომელთა რიგებს დაუბრუნდა სსრ კავ-  
შირის ნაკრებიდან ახლახან „დემობილიზებული“ ქორქია. ამ ახალგაზრდა,  
უდავოდ ნიჭიერი და პერსპექტიული კალათბურთელის მონდომებამ სხვე-  
ბიც „მონამლა“. დინამოელები ამოქმედდნენ უფრო საიმედოდ, შესამჩნე-



ვად გამოკეთდა სროლების სიზუსტე და თამაშმაც უფრო გააზრებული, გამიზნული ხასიათი მიიღო“.

მართალია, „ჟალგირისთან“ მეორე შეხვედრა (ჩემპიონატი წრიული სისტემით, მიმოსვლით ჩატარდა, მეტოქენი ერთმანეთთან, შინ და გარეთ, ორორჯერ თამაშობდნენ) „დინამო“ წააგო — 74:76, მაგრამ ქორქია ამჯერად ყველაზე შედეგიანი იყო — 24 ქულა.

ერთი კვირის შემდეგ დინამოელები თბილისშივე შეხვდნენ სვერდლოვსკის „ურალმაშს“ და, რა თქმა უნდა, ორივე მატჩი საკმაოდ იოლად მოუგეს (84:64, 87:66). ქორქიამ ორივე შეხვედრაში 17-17 ქულა შესძინა გუნდს.

რამდენიმე დღის შემდეგ „დინამო“, როგორც საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი (იგი ამ დროს I-II ადგილებს იყოფდა ლენინგრადის „სპარტაკთან“), საკონტროლო მატჩში სამხრეთ ამერიკიდან დაბრუნებულ სარ კავშირის ნაკრებს შეხვდა და საპატიო ანგარიშით დამარცხდა — 77:86. ნაკრების შემადგენლობაში 18 ქულით ზურაბ საკანდელიძე გამოიჩინდა, დინამოელთა შორის კი შედეგიანობით ყველას აჯობა მიხეილ ქორქიამ — 16

ქულა. როგორც ხედავთ, ახალგაზრდა სპორტსმენი თავიდანვე ჩაეწერა გუნდის ბომბარდირთა სიაში, რაც თითქმის ლიდერობის ტოლფასი იყო.

ფარეჯეშ შეუპოვარი თამაშით თუ საშუალო დასტანციიდან სნაიპერული სროლით ქორქია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა „დინამოში.“ თავად ხომ აგროვებდა ქულებს, თანაგუნდელებსაც აიყოლიებდა, სულ შთაბერავდა და მერე მათი გაჩერება შეუძლებელი იყო.

ლენინგრადის სპარტაკელებთან მატჩში თბილისის დინამოელ მიხეილ ქორქიას მეტად პასუხსაგები ამოცანა დაეკისრა: მას უნდა უზრუნველეყო საკუთარი ფარის უსაფრთხოება. ქორქიამ პირნათლად გაართვა თავი სირთულეებს და დიდი წვლილი შეიტანა თანაგუნდელთა წარმატებაში (30-31 მარტს „დინამომ“ თბილისში ორივე მატჩი მოუკო „სპარტაკს“ — 77:71, 68:64 და ფაქტობრივი ლიდერი გახდა). ცსკა-ს 36 შეხვედრიდან 24 ქულა ჰქონდა, „სპარტაკს“ — 34 მატჩიდან 23. „დინამოს“ კი ამდენივე ქულა 33 შეხვედრაში ჰქონდა აღებული.

ლენინგრადელებთან გამართულ მეორე მატჩში „დინამოს“ აკლდა დაშავებული სხიერელი და მისი როლი „საპარერო“ ჭიდილში ვიღაც სხვას უნდა ეკისრა. ეს აუცილებელი იყო ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ სამოქმედო ასპარეზი განთავისუფლებოდა ლეჟავას — დინამოელთა შეტევის ლიდერს. სხიერელი ორივე მატჩში საკმაოდ ეფექტურად შეცვალა ქორქიამ...

და აი, თბილისის „დინამომ“ მრავალი წლის ოცნება აისრულა — 14-წლიანი პაუზის შემდეგ, 35-ე ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე ისტორიაში მეოთხედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. ამ წარმატებაში, როგორც ვნახეთ, უდიდესი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა მიხეილ ქორქიას, რომელიც გუნდის ლიდერის, ზურაბ საკონდელიძის არყოფნაში (ზურაბი მთელი წელიწადი ქვეყნის ნაკრების შეკრებაზე იყო და მონრეალის ოლიმპიადისთვის ემზადებოდა) ერთ-ერთ ლიდერად და მთავარ მოქმედ პირად იქცა.

მსოფლიო კალათბურთის ელიტა 1968 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდა და ნაკრები გუნდები უამრავ ტურნირში თამაშობდნენ. პირველი ასეთი შეჯიბრება მინსკში მოეწყო, სადაც ამერიკის, იუგოსლავისა და სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრები გუნდებთან ერთად საბჭოთა ახალგაზრდული გუნდიც გამოდიოდა სარბიელზე.



იმ ტურნირში ამერიკელებმა პირველობა დაისაკუთრეს. მათ სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდიც იოლად დაამარცხეს — 84:69. სამაგიეროდ, ახალგაზრდებმა იუგოსლავიელებს მოუგეს 79:73 და III ადგილი დაიკავეს.

მეორე საკონტროლო ტურნირი იმავე გუნდების მონაწილეობით მოსკოვში გაიმართა. მიხეილ ქორქია ოლიმპიურ გუნდში გამოიძახეს, მაგრამ, როგორც ვთქვით, იქ ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ამიტომ მან უფრო დაბალი რანგის ნაკრებში ითამაშა და, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგადაც. ამას მონამდბა „სოვეტსკი სპორტის“ 28 ივნისის ნომერში დაბეჭდილი ინფორმაციული მასალა მოსკოვის ტურნირის მეორე ტურის შესახებ, რომელსაც იური მორგულისის ფოტო ახლავს: იუგოსლავიელებთან მატჩში მიხეილ ქორქია სადაც ბურთის აგდებისთვის ემზადება, რამდენიმე წამში იგი მაღალი ნახტომით ხელთ იგდებს მსაჯის მიერ ჰაერში ატყორცნილ ბურთს.

საკავშირო პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს განსაკუთრებით იმიტომ ვაქცევთ ყურადღებას, რომ იმ წლებში, და არც მარტო მაშინ, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამა თუ იმ სპორტსმენის შემდგომი კარიერისთვის. დაუმსახურებლად ან „ავანსად“, „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე მოხვედრა, ისიც ფოტოს თანხლებით, წარმოუდგენელი იყო.

მიხეილ ქორქია ისე იყო მომზადებული, არც ახალგაზრდულ ნაკრებში, არც „დინამოში“ საკუთარი ადგილის პოვნა არ გასტირვებია, პირველივე შეხვედრებში კარგა გამობრძმედილი მოთამაშესავით ეჭირა თავი, არც მეტოქეს უფრთხოდა და თანაგუნდელებსაც უცებ გაუშინაურდა, რაც, რაღა თქმა უნდა, მისი პირველი მწვრთნელის, სულიკო თორთლაძის დიდი დამსახურებაც იყო.

რა გასაკვირია, რომ მიხეილ ქორქია მომდევნო სეზონშიც გუნდის სული და გული იყო. ჩემპიონატის მატჩებშიც და ევროპის თასების მფლობელთა თასის შეხვედრებშიც მან შესანიშნავად ითამაშა და პრესისგან შექებაც დაიმსახურა. 1969 წლის 15-16 იანვარს „დინამო“ ჩემპიონის რანგში საკავშირო ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო გუნდს, მოსკოვის არმიელთა კოლექტივს შეხვდა და ორივე მატჩი უმძაფრეს ბრძოლაში მოუგო — 72:69, 84:83. ორივე დღის გმირი ზურაბ საკანდელიძე იყო, ხოლო მიხეილ ქორქია ყველაზე ენერგიულ, ყველაზე შეუპოვარ მოთამაშედ აღიარეს. ამ ორი მატჩის მიმოხილვა სტენოგრამის სახით არის გადმოცემული და ავტორი აღნიშნავს: „როგორც ყოველთვის, თავგამოდებით თამაშობს ქორქია“...

27 თებერვლის „ლელო“: „კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასაწყისში დინამოელი მიხეილ ქორქია სტაბილური თამაშით ვერ გამოირჩეოდა, მაგრამ შემდეგ იგი თანდათან შევიდა ფორმაში. თბილისის სპორტის სასახლეში სსრ კავშირის შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორებთან — კიევის არმიილებთან ამ ბოლო ხანს გამართულ ორ მატჩში ქორქია ყველაზე შედეგიანი იყო მოედანზე. პირველ დღეს მან გუნდს 18 ქულა შესძინა, ხოლო მეორე დღეს — 14. მისი ტყუორცნა საშუალო მანძილიდან თითქმის ყოველთვის აღნევს მიზანს“.

მეორე წრის მატჩში თბილისელებმა შინ მოსკოველ თანაკლუბელებთან პირველი მატჩი მოიგეს — 94:73, მეორე კი უფრო დიდი ანგარიშით წააგეს — 64:92. ძალიან საინტერესოა ორივე მატჩის ლელოსეული მიმოხილვის ფრაგმენტები. ლაპარაკია პირველი მატჩის მე-15-მე-20 წუთების მონაკვეთზე: „ამ პერიოდში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქორქიამ და საკანდელიძემ. სწორედ მათი თავგანნირული და ეფექტური თამაშის შემდეგ დაწინაურდა ჩვენი გუნდი“. და მეორე შეხვედრის შესახებ: „...გუშინწინ მოედანზე იყო ერთადერთი მებრძოლი — ქორქია, რომლის თავგანნირვა დარჩა „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“.

25-26 აპრილი. „დინამო“ — კიევის „სტროიტელი“ — 65:59, 74:71. „ლელო“: „თბილისელთა შორის გამოიჩინა ქორქია, რომლის ტყუორცნა უმეტესად კალათის ალებით მთავრდება“; „...მაგრამ ქორქიასა და ალთაბაევის ზუსტმა საჯარიმო ტყუორცნამ გამარჯვების სასწორი თბილისელთა მხარეს გადახარა“.

13 მაისის „ლელო“: „ამას წინათ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა, თბილისის „დინამომ“ ორი მატჩი ჩაატარა შინ ვილნიუსის „უალგირისთან“. ამ შეხვედრებში თავი გამოიჩინა სსრ კავშირის ნაკრების ახალგაზრდა წევრმა მიხეილ ქორქიამ, რომელიც ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა“.

იმ სეზონში „დინამომ“ წინ მხოლოდ ცსკა გაუშვა და ვერცხლის მედლებს დასჯერდა. ესეც, რა თქმა უნდა, დიდი წარმატებაა, რაშიც, როგორც თავად დარწმუნდებოდით, დიდი წვლილი მიუძღვის მიხეილ ქორქიასაც.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალის პირველი შეხვედრა საბერძნეთში, ათენის „პანათინაიკოსთან“ „დინამომ“ 14 ქულით წააგო — 67:81 და თბილისში განმეორებითი მატჩი სულ ცოტა 15 ქუ-



ლით უნდა მოეგო. ამოცანა ერთობ მძიმე იყო და ამიტომ მწვრთნელ-მოთა-მაშეებმა გადაწყვიტეს, თავიდანვე „დაეხრჩოთ“ მეტოქე, პირველ ტაიმშივე მოემთავრებინათ საქმე, რომ ბოლოს შემთხვევით რაიმე მოულოდნელობა არ მომხდარიყო.

მიხეილ ქორქიას ბევრი ბრწყინვალე თამაში მახსოვს, მაგრამ იმ დღეს, 1969 წლის 3 აპრილს, იგი შეუდარებელი იყო. მისი თავგანწირული თამაში, აზარტი, მართლაც დიდოსტატობა გაოცებას იწვევდა — მიმამ 24 ქულა აიღო (ლევან მოსეშვილმა — 25), ფარქვემაც თავგანწირულად იბრძოდა და დაცვაშიც. შეიძლება თამადად ითქვას, რომ ამ ერთმა კაცმა მოიგო ის მატჩი. მისი მაგალითი ნამდვილად გადამდები აღმოჩნდა გუნდის დანარჩენი წევრებისთვის და „დინამობაც“ დასახული ამოცანა „გეგმის დიდი გადაჭარბებით“ შეასრულა — 103:71 (50:29).

ქუთაისის მოსწავლეთა  
ნაკრები.  
მარჯვნიდან პირველი —  
მიხეილ ქორქია,  
მარცხნიდან მესამე —  
სულიერ თორთლაძე

თამაზ ჩიხლაძემ მითხრა: „ამ დროს მიშიკო 20 წლისაა, მე — 19-ის, ერთი სიტყვით, სულ პატარა ბიჭები ვართ. ამის მიუხედავად, საბერძნეთში შემოგვთავაზეს დარჩენა. სერიოზულ თანხას გვპირდებოდნენ, თითოეულს 4000-4000 დოლარს თვეში, მაშინ ეს ძალაან დიდი ფული იყო.

იგივე გამეორდა შემდეგ წელიწადს, ნეაპოლში „ფიდერთან“ თასების მფლობელთა თასის ფინალი რომ ვითამაშეთ. თანხა აღარ მახსოვს, მაგრამ სარფიანი წინადადება იყო. აბა, ჩვენ რისი დამრჩენები ვიყავით!“

ფინალი ვენის „შტატჰალეში“, 3 ათასი მაყურებლის თვალწინ, 17 აპრილს გაიმართა და ჩვენმა გუნდმა სულ 6 ქულით დათმო შეხვედრა პრალის „სლავიათან“ — 74:80 (33:33). ჩეხებმა მხოლოდ ბოლო წუთებში მიაღწიეს გადამწყვეტ უპირატესობას. აღსანიშნავია, რომ დინამოელთა რიგებში ტრაგმის გამო არ თამაშობდნენ ვალერი ალთაბავი და ამირან სხიერელი, რაც დიდი დანაკლისა აღმოჩნდა „დინამოსთვის“.

მიხეილ ქორქია ბედის ნებიერი არასოდეს ყოფილა, თუმცა, ხასიათი ჰქონდა ისეთი, ვერასოდეს შეატყობდი, რა უჭირდა ან რა ულხინდა. ამას ჩვენ ვერ ვატყობდით, ჩვეულებრივი მაყურებლები და გულშემატკივრები, თორემ ისე, შესაძლოა, თანაგუნდელებთან და ოჯახში ხანდახან აფეთქებულიყო, ეჩჩუბა კიდეც.

ერთხელ თამაზ ჩიხლაძემ გაიხსენა: „დიდი ახლობლები ვიყავით, ოჯახებით ვმეგობრობდით და კიდეც ვმეგობრობთო, მაგრამ ისიც ჯიუტი იყო და მეც. რაღაც სისულელეზე ვიჩუბეთ და მთელი ხუთი თუ ექვსი წელიწადი უბრად ვიყავით. ძალიან გულლია იყო, რისი თქმაც უნდოდა, პირში გეტყოდა, გულში არ ჩაიდებდა. მეც ასეთი ვიყავი. ამიტომაც ხშირად ვკინკლაობდით. მაგრამ ტრიბუნებზე ამას ვერავინ შეატყობდა, მოედანზე ბურთსაც ვაძლევდით ერთმანეთს და, ასე ვთქვათ, წესიერად ვიქცეოდით. ის ამბავი, რა თქმა უნდა, რომელილაც სათამაშო სიტუაციას მოჰყვა. ავყევით, ავყევით და... მართლა მაგრად ვიჩუბეთ.“

ბედის ნებიერი კი არა, პირიქით, მიხეილ ქორქია ცხოვრებაშ ბევრჯერ ჩაწიხლა.

ბედმა პირველად მაშინ უმტყუნა, როცა მართლაც ბრნებინვალე სპორტულ ფორმაში იყო, როცა გულშემატკივარმა შეიყვარა, როცა თანდათან ყალიბდებოდა გუნდის იმედად.



არა, ისე, ბედი არ გინდა! რაღა იმ დროს, რაღა იმ უბანში!.. ქუთაისის ქუჩებში სეირნობდნენ მიხეილი და მისი ბავშვობის მეგობარი თენგიზ ყალიჩავა, რომელიც, თავად მიხეილის თქმით, კალათბურთის ფანატიკოსი გულშემატკიცარი იყო. უცებ ქალის კივილი შემოესმათ, ეზოდან გამოვარდა, უკან გავეშებული ზორბა მამაკაცი მოსდევდა საცემრად. თურმე ცოლ-ქმარი ყოფილან. ბიჭებმა, რა თქმა უნდა, ქალის გამოსარჩლება გადაწყვიტეს და ატყდა ერთი შეხლა-შემოხლა. უცებ მიხეილს ფეხი დაუცდა, დაცემისას შემთხვევით იქვე კედელზე მიყუდებულ სქელ მინას მოარტყა ხელი, ჩაამსხვრია და მარჯვენა ხელის მყესი გადაიჭრა...

„საოპერაციოდან რომ გამოვედი, ყალიჩავა (ასე გვარით იცნობდა მას ყველა და ასეც ვეძახდით) მომვარდა — აპა, თითები აამოძრავეო! კი შევე-ცადე, მაგრამ ვერ შევძელი, არანორმალური ტყივილი ვიგრძენი. ყალიჩავა ბავშვივით აზლუქუნდა. აი, მაშინ მივხვდი, რა უბედურებაც დამატყდა თავს — კალათბურთს ვეღარასოდეს ვითამაშებდი!“ — გაიხსენა ერთხელ მიხეილ ქორქიამ.

იმ პერიოდში ქორქიების ოჯახი თბილისში ცხოვრობდა. მიხეილის დედას, ქალბატონ ნანულის რომ შეატყობინეს ეს ამბავი, თავზარი დაეცა, უთუოდ რაღაც უბედურებაა ჩემს თავს და ასე პირდაპირ ვერ მომახალესო. ორ-სამ საათში უკვე ქუთაისში იყო (თვითმფრინავს იქამდე მხოლოდ 40 წუთი სჭირდებოდა).

ჰალატაში რომ შეჭრილა, მიშას გაჰკვირვებია, ნეტა ეს ქალი ვინ არისო. ამ ორ-სამ საათში ქალბატონი ნანული მთლად გაჭალარავებულიყო!..

ამ ისტორიას საინტერესო გაგრძელება მოჰყავა.


„რამდენიმე ხანში ჭრილობა შემიხორცდა, შეშუპებული და ჩალურჯებული მტევანი დამიცხრა და თითებიც ავამოძრავე.

ყალიჩავასგან მაღულად ვარჯიში დავიწყე. ერთ მშვენიერ დღეს გავუარე, შევთავაზე, ვარჯიშზე წავიდეთ-მეთქი. ხელი ისევ შეხვეული მქონდა. რას მამაიმუნებო! არ დამიჯერა.

ვარჯიშები „ლენინის დარბაზში“ გვქონდა, კონსტიტუციის ქუჩაზე. გასახდელში ფორმა ჩავიცვი და მოედანზე უბინტოდ გამოვედი. ყალიჩავა თვალებს არ უჯერებდა! ვისროლე ბურთი კალათში, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ყველა ჩავაგდე. ყალიჩავა გარეთ გავარდა და... მხოლოდ მეოთხე დღეს გამო-



Յօնեցու, Ռոտար და  
ნოდარ ქორქյուցბი



მეცხადა... ხელშეხვეული. ბიჭებმა შენი კალათბურთში დაბრუნება აღვნიშნეთო. აბა, თითები აამოძრავე-მეთქი, და ორივეს გულიანად გაგვეცინა...“ — დაასრულა მიხეილმა.

რამდენიმე ხანში ნაოპერაციევი ხელი აღარ სტკიოდა, მაგრამ ორ თითს თავისუფლად ბოლომდე მაინც ვერ შლიდა.

თუმცა ამას არ შეუმლია ხელი მისი სპორტული კარიერის სრულყოფის-თვის.

რა იოლი სათქმელია?

ექიმებმა ხომ თითქმის მთლიანად გადაუწურეს იმედი. კალათბურთში ხელია მთავარი, ცაცია მაინც იყო, მოედაზე დაბრუნება არც იფიქროო, — პირდაპირ არ უთქვამთ, მაგრამ სწორედ ეს ამოიკითხა დასტაქრების თვალებში.

მაგრამ მათ რა იცოდნენ, როგორ შეუპოვარ, უტეს კაცთან ჰქონდათ საქმე. ცოტა ხანს აცალა. ეს რამდენიმე კვირა წელინადად ექცა და ვეღარ გაძლო, როგორც კი ოდნავ შეათამაშა თითები, მაშინვე გადააგდო ბინტი და ბურთი დაიჭირა ხელში. თავიდან ძალიან გაუჭირდა, ტკივილი ტკივილად და თითებს ბოლომდე რომ ვერ შლიდა, ამაზე ნერვიულობდა, ძალასაც ვერ ატანდა, ეშინოდა, ტრავმა არ გართულებულიყო, ტკივილი არ მომატებოდა, რაც ვარჯიშში ხელს შეუშლიდა.

ასე ფრთხილად, ნელ-ნელა, თანდათან შეაჩვია ხელს ჯერ პატარა, ჩიოგ-ბურთის ბურთი, მერე ცოტა მოზრდილი, სათამაშო რეზინის ბურთით ვარჯიშობდა, ბოლოს ნამდვილ — კალათბურთის ბურთზე გადავიდა.

შემდეგ უკვე ბურთის სროლაშიც დაიწყო ვარჯიში, ფართან, საჯარიმოს საზთანაც დადგა და იქიდან სცადა, ჯერ გულშემატკივრებში ასე გავრცელებული, ეგრეთ წოდებული „მალაკოები“ გამოსალიდა, მერე კი ნელ-ნელა ბურთი ფარსაც მიაწვდინა. სულ რამდენიმე დღე დასჭირდა, პირველი ბურთი რომ ჩაეგდო კალათმი და... მორჩა! კარიერაც გაგრძელდა! მიხეილ ქორქია დაუბრუნდა კალათბურთს და სულ მალე გუნდსაც შეუერთდა. თუმცა ეს „მალე“, 1969 წლის ბოლო იყო.

ქორქიამ სსრ კავშირის 37-ე ჩემპიონატის ათი სასტარტო შეხვედრიდან პირველი ხუთი გამოტოვა (1969 წლის ნოემბერ-დეკემბერი) — რიგაში — არმიელთა კლუბთან, კაუნასში — „უალგირისთან“, კიევში — ასკ-სა და



„სტროიტელთან“ და მოსკოვში — „დინამოსთან“ და მოედანს მხოლოდ 23 დეკემბერს დაუბრუნდა თბილისში, როცა ცსკა-მ მასპინძლებს ერთი ქულის სხვაობით მოუგო — 64:63.

ასე რომ, ჯამში მიხეილ ქორქიამ 150 წუთი ითამაშა, ანუ თითოეულ შეხვედრაში — საშუალოდ 30 წუთი და 67 ქულა მოაგროვა, რაც საშუალოდ მატჩ-ჩში 13,4 ქულას უდრის. მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, არ არის მაღალი, მაგრამ ეს სულაც არ არის გასაკვირი. სპორტსმენისთვის, რომელსაც ამდენი ხანია, არ უვარჯიშია, ფაქტობრივად ვერ შლიდა მარჯვენა ხელის თითებს, ეს შედეგი სავსებით ნორმალურია. მით უფრო, რომ ამ შეხვედრების უმეტესობა დინამოელებს სტუმრად ჰქონდათ ჩატარებული.

მაგრამ სპორტსმენმა თანდათან ალიდგინა ფორმა და 11 ივლისს, როცა „დინამომ“ ვარშავაში, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინანსში ადგილობრივ „პოლონიას“ 82:77 მოუგო, მიხეილ ქორქია თავის გუნდში 23 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო. დინამოელებმა „პოლონიას“ განმეორებით მატჩში თბილისშიც აჯობეს — 92:82. ამ შეხვედრაში ქორქიამ 14 ქულა მოაგროვა.

მერე იყო ევროთასის გათამაშების ნახევარფინალში ნეაპოლის „ფიდესთან“ წაგება სტუმრადაც (69:86) და თბილისშიც (83:88). პირველ შეხვედრაში თბილისელთაგან ყველაზე შედეგიანი ქორქია იყო — 21 ქულა, თბილისში კი იგი კვლავ 14 ქულას დასჯერდა.

სსრ კავშირის ჩემპიონატის თბილისის ცურში მოსკოვის ცსკა-ს ჩამოჰყნენ ამ გუნდისა და საკავშირო ნაკრების მთავარი მწვრთნელი და მისი ასისტენტი: ალექსანდრ გომელსკი და იური ოზეროვი. გარდა იმისა, რომ თავიანთ კლუბს ხელმძღვანელობდნენ, ისინი ნაკრების კანდიდატებსაც აკვირდებოდნენ. ჩვენი „დინამოდან“ მათ ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას თამაში და სპორტული ფორმა აინტერესებდათ, მაგრამ მხოლოდ საკანდელიძეზე შეაჩერეს ყურადღება, თუმცა ქორქიაც ნელ-ნელა უახლოვდებოდა თავის ჩვეულ ფორმას და მსოფლიო ჩემპიონატისთვის სრულებით მზად იქნებოდა.

ამგვარი ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ამერიკის ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელის ჯონ გაჯერის შეფასება. თუმცა, მივყვეთ თანამიმდევრობით.

ჯერ კიდევ 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში განცდილი მარცხი ვერ მოენელებინათ, რომ 1970-ში იუგოსლავიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ტიტულის დასაცავად ჩასულმა სსრ კავშირის ნაკრებმა ახალი ფასკო განიცადა (ისევე, როგორც ოლიმპიადაზე, ამჯერადაც III ადგილზე დარჩა). მეტი რაღა უნდოდათ საბჭოთა სპორტის მესვეურებს, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ გომელსკი და მისი თანაშემწე მოხსნეს და მათ მაგივრად ლენინგრადის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ კონდრაშინი და საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი სერგეი ბაშკინი დანიშნეს.

ამერიკელებმა მთლად თავი მოიწრეს — მეხუთე ადგილზე დარჩნენ და „მოსასულიერებლად“ საბჭოთა კავშირში გადაწყვიტეს ჩამოსვლა. მოსკოვ-სა და ტალინში ერთმანეთის მიყოლებით ორი ოთხგუნდიანი ტურნირი ჩატარდა.

პირველ მათგანში ოკეანისგალმელებმა პირველობა მოიპოვეს, მესამე ადგილზე საბჭოთა ახალგაზრდული ნაკრები გავიდა, მეოთხეზე — ჩეხოსლოვაკიის გუნდი. კონდრაშინმა ძევლი გუნდი გაანახევრა და „რეპრესირებულებში“ ზურაბ საკანდელიძეც მოხვდა. მიხეილ ქორქია კი ნაკრებში არც ახალ მწვრთნელს გამოიჰახებია.

სამაგიეროდ, ქორქიამ ტალინში ითამაშა, სადაც საბჭოთა გუნდმა მოუგო ამერიკელებს და პირველ ადგილზე გავიდა. მესამე-მეოთხე ადგილები კი ესტონეთისა და ლიტვის გუნდებმა დაიკავეს.

და აი, ჯონ გაჯერის ჯერიც დადგა, რომელმაც საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ მისცა საკდესის კორესპონდენტს. გავიხსენოთ ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ადგილი ამ ინტერვიუდან. უურნალისტის კითხვაზე, ვის გამოყოფთ საბჭოთა ნაკრებიდანო, ამერიკელი სპეციალისტი ასე უპასუხებს: „მომწონს პაულაუსკასის, ალექსანდრ და სერგეი ბელოვეგის თამაში. კარგია ცენტრალური თავდამსხმელი დვორნიც — თავისი მოქმედებით იგი გუნდს უფრო მობილურს ხდის. პერსპექტიული კალათბურთელი ჰყავთ ესტონელებსაც. ეს სალუმესტია, რომელიც კარგად თამაშობს დაცვაშიც და შეტევაშიც. სალუმესტისთანა კალათბურთელი ყველა გუნდს სჭირდება. ჩვენს წინააღმდეგ დიდი შრომა გასწია ქორქიამ, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა“...



როგორც ზემოთ ვთქვით, 1968 წელს ალექსანდრ გომელსკიმ პირველად მიიწვია ნაკრებში მიხეილ ქორქია, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებზე მაინც არ წაიყვანა, ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი ხარო.

რამდენიმე შეკრებაზე კიდევ გამოიძახა, მაგრამ ათ კაცში მის დაყენებას საშველი არ დაადგა. ყველაზე ცუდი და სპორტსმენისთვის დამთრგუნველი ის იყო, რომ მასზე უარს სულ ბოლო წუთში ამბობდნენ — თუ გუნდი მარჯვნივ გაუხვევდა, მისი გზა მარცხნივ უნდა შეტრიალებულიყო.

ერთ-ერთი ასეთი შეკრების შემდეგ, 1969 წელს, ქორქია ისევ განბილებული გამოუშვეს სამშობლოში, გუნდი კი ნებაპოლს გაემგზავრა, ევროპის მე-16 ჩემპიონატში მონაბილეობის მისაღებად.

თბილისში ჩამოსული არც იყო, რომ საქართველოს სპორტკომიტეტში მოსკოვიდან დეპეშა მოვიდა: გენადი ვოლნოვმა ტრავმა მიიღო და მიხეილ ქორქია სასწრაფოდ გამოფრინდეს იტალიაშით.

ქართველი კალათბურთელი სიხარულით ცას ენია, ახლა კი მომიწევს ნაკრებში თამაშით. მაგრამ ხომ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა. მოსკოვი-ნებაპოლის ავიალაინერს ჯერ საბჭოთა საპარტო სივრცე არ ჰქონდა დატოვებული, როცა იტალიიდან ახალი ცნობა მოვიდა: ექიმებმა ერთ დღეში სასწაული მოახდინეს და ვოლნოვი ფეხზე დააყენესო.


ის ჩემპიონატი საბჭოთა ნაკრებმა ქორქიას დაუხმარებლად მოიგო. გომელსკის არც უფიქრია ქართველი მოთამაშის მოედანზე თუნდაც რამდენიმე წუთით გამოყვანა. არც ის უდარდია, კიდევ ერთხელ რამხელა ტრავმა მიაყენა ახალგაზრდა კაცს.


კარგად იცით ქორქიას ხასიათი, მისი ემოციურობა, მისი მიზანსწრაფულობა, მისი შეუპოვრობა... ასეთი ადამიანისთვის ამდენი და ამხელა მორალური ტრავმა როგორი დამთრგუნველი იქნებოდა, თავად წარმოიდგინეთ.

სულ საკუთარ თავს საყვედურობდა — ეტყობა, მართლაც არა ვარ იმ დონის მოთამაშე, რომ ნაკრებში გამოვდგე, თორემ ისე, ჩემი რა ჯინი უნდა სჭირდეს მწვრთნელსო. მაგრამ მაინც, ასეთ დროს სხვა თუ ხელს ჩაიქნევდა და მორალურად გატყდებოდა, მიხეილმა, პირიქით, მეტი მონდომებით განაგრძო ვარჯიში. მიუხედავად „დინამოს“ კრიზისული პერიოდისა, რის გამოც 38-ე საკავშირო ჩემპიონატისთვის გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი,

ფარქევეშ შეუპოვარი თამა-  
შით თუ საშუალო დისტან-  
ციიდან სნაიპერული სრო-  
ლით ეირქაა ერთ-ერთი  
მნიშვნელოვანი ფიგურა  
გახდა „დღნამოში.“ თავად  
ხომ აგრძელებდა ქულებს,  
თანაგუნდელებსაც აიყო-  
ლიებდა, სულს შთაბერავ-  
და და მერე მათი გაჩერება  
შეუძლებელი იყო.

აზოვილი კრისტიანი





ისევ ოთარ ქორქია ჩაუდგა სათავეში, მიხეილ ქორქიას ბრწყინვალე თამაში კვლავ ხიბლავდა ათასობით გულშემატკივარს.

თუმცა, მიხეილმა აგვისტოს მეორე დეკადაში, ლენინგრადში, იური გაგარინის მემორიალზე მაინც დაიცვა საკავშირო ნაკრების ღირსება. გუნდმა პირველობა არავის დაუთმო. სპეციალისტთა საერთო შეფასებით, ორივე ქართველმა კალათბურთელმა — საკანდელიძემაც და ქორქიამაც — კარგად გაართვა თავი საქმეს და დიდი წვლილი შეიტანა ნაკრების გამარჯვებაში.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ კონდრაშინმა 30 ნოემბერს გამოაქვეყნა იტალიასა და გერმანიაში, ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი გუნდის კანდიდატთა სია: საკანდელიძე, პაულაუსკასი, პოლივოდა, ანდრეევი, სერგეი ბელოვი, ტომსონი, უარმუხამედოვი, ალექსანდრ ბელოვი, ბოლოშევი, ედეშკო, ტამისტე და ქორქია.

მაგრამ მანამდე კიდევ ერთხელ დადგა ეჭვქვეშ მიხეილ ქორქიას საკითხი, თუმცა მან გუნდთან ერთად მთლიანი ხანგრძლივი საწვრთნელი კურსი გაიარა...

მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონს, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს, ზურაბ საკანდელიძეს სიტყვა ნამდვილად ეთქმოდა და მან კატეგორიულად დაუსვა საკითხი მწვრთნელთა საბჭოს — ქორქიას თუ არ ნამოიყვანთ, ჩემოდანს ჩავალაგებ და მეც თბილისის გზას გავუდგებიო. ეს ამბავი იტალიაში გამგზავრების წინა ღამეს (მსოფლიო ჩემპიონატამდე სსრ კავშირის ნაკრებმა რამდენიმე საკონტროლო მატჩი დაგეგმა ამ ქვეყნის გუნდებთან) მოსკოვის ერთ-ერთ სასტუმროში ხდებოდა. მიხეილი სასტუმროს ნომერში მოუსვენრად სცემდა ბოლთას — მწვრთნელების ოთახში ხომ კიდევ ერთხელ წყდებოდა მისი ბედი. შუალამედე გაგრძელდა კამათი, მერე კი უცებ ნომრის კარი ბედნიერმა, სახეგაბადრულმა ზურაბ საკანდელიძემ შეაღო და ხმამაღლა შესძახა — ევროპის ჩემპიონობას გილოცავო! ნერვიულობისა და უსაშველო მოლოდინისგან ფერმიხდილი ქორქია უცებ დაიბნა, კარგად ვერ გაერკვა, რას ნიშნავდა ეს მოლოცვა, მაგრამ როცა ზურაბი გადაეხვია და ეს მთასავით კაცი ხელში აიტაცა, ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა.

მართლაც, საბჭოთა ნაკრებმა უკვე მეთერთმეტე (!) მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, როცა ფინალში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, იუგოსლავის ნაკრებს მოუგო — 69:64.



ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი ქართველმა კალათბურთელებმაც შეიტანეს. თუ ფინალურ მატჩში თავისი ფილიგრანული ტექნიკის წყალობით გარდატეხა ზურაბ საკანდელიძემ შეიტანა, მიხეილ ქორქია ესპანელებთან შეხვედრაში თავისი გუნდიდან ყველაზე შედეგიანი იყო — 15 ქულა.

ეს იყო ზურაბის მეოთხე და უკანასკნელი ევროპული ოქროს მედალი, მიხეილისთვის კი პირველი დიდი გამარჯვება.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ და საკავშირო ჩემპიონატში ჩაებნენ.

ნინ მიღევს „სოვეტსკი სპორტის“ 1971 წლის 10, 22 და 25 დეკემბრის ნომრები. 10 დეკემბრის ნომრიდან ვიგებთ, რომ მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრა სტუმრებმა 82:73 მოიგეს, თუმცა მოსკოვის „დინამო“ ჩვენთვის ყოველთვის ძალიან „უხერხული“ მეტოქე იყო. ამ მატჩში მიხეილ ქორქიას 22 ქულა დაუგროვებია, ზურაბ საკანდელიძეს — 20. წერილს ელენა რერიხი აწერს ხელს: „გამარჯვებულთაგან პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ოლიმპიური ნაკრების კანდიდატების — ქორქიას და საკანდელიძის თამაში. ორივე დამაჯერებლად მოქმედებდა, განსაკუთრებით აქტიურად კი შეტევაში ერთვებოდნენ. საკანდელიძე თავის ელვისებურ შეტევებს თავადვე ამთავრებდა, რითაც არაერთხელ დაიმსახურა მაყურებელთა აპლოდისმენტები. ქორქია კი ყველგან იყო, თითქოს მთელი მოედანი მას ეპყრა და მისი შეჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახლდათ. წამითაც კი არ მიუცია თავისთვის ამოსუნთქვის საშუალება, ერთთავად ბრძოლაში იყო. ისე ჩანდა, რომ მოწინააღმდეგის ფარისეკენ მიმსწრაფს ვერა ძალა ვერ აღუდგებოდა ნინ“.

ვილნიუსში „სტატიბასთან“ თბილისელებმა 76:60 მოიგეს. მაღალ შედეგს მიაღწია ზურაბ საკანდელიძემ — 32 ქულა, ხოლო მიხეილ ქორქიამ 18 ქულა მოაგროვა. კაუნასში კი, „ჟალგირისთან“ „დინამომ“ 72:83 წააგო. ლიტველმა ჟურნალისტმა, რაკაუსკასმა ასე დაასათაურა თავისი წერილი: „ლიდერიც, ახალგაზრდობაც“. ამ შეხვედრაში ქორქიას ანგარიშზე 27 ქულა იყო, საკანდელიძემ კი 13 ქულა დააგროვა.

გთავაზობთ ამ პუბლიკაციის ამონარიდებს: „კაუნასში თბილისელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდათ, მათ შორის სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ უგრეხელიძე. მიუხედავად ამისა, სტუმრებმა მაღალი

ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და აშკარად იგრძნობოდა, რომ ისინი მოგების დიდი სურვილით ჩამოვიდნენ. როგორც ცნობილია, დიდი სისწრაფის დროს შეცდომებს გვერდს ვერ აუკლი. ცდებიან როგორც სამხრეთელები, ისე მას-პინძლები. ამიტომაც ანგარიში ნელა იზრდება, გარდამავალი უპირატესობით. მასპინძელთაგან წარმატებით თამაშობს ვენზბერგასი, რაც წაკრების კანდიდატისთვის უჩვეულო სულაც არ არის. აი, უუკაუსკასის კარგი თამაში როგორც დაცვაში, ისე შეტევაში ნამდვილი სიურპრიზია. მის მიერ შორი მანძილიდან ზუსტად წატყორცნ ბურთს ფარქვეშ მწვავე შესვლა ენაცვლება. ეს რაღაცნაირად ავსებს პაულაუსკასის არყოფნით გამოწვეულ ვაკუუმს, რომელიც მძიმე ტრავმამ დიდი ხნით გამოიყვანა მწყობრიდან.

ამ ტანდემს წინ აღუდგა მიხეილ ქორქია — დაუშრეტელი ენერგიისა და დიდი პოტენციის მქონე მოთამაშე. ეს 23 წლის თბილისელი შეუჩერებელი იყო ზედ ფარის მისადგომებთან და ძალიან ზუსტად ტყორცნიდა საშუალო დისტანციიდან. პირველ ტამში მან თავის გუნდს 15 ქულა მოუტანა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საქმარისი, მასპინძლები შესვენებაზე 9-ქულიანი აქტივით წავიდნენ.

მეორე ტამში სამხრეთელების მძაფრი შეტევებით დაიწყო. ამ იერიშებს ისევ ქორქია ხელმძღვანელობდა, რომელიც ზუსტად ბომბავდა მოწინააღმდეგის კალათს“...

მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამ თავგამოდებამ შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა 28-ე წუთისთვის ზურაბ საკანდელიძემ ზუსტი შორეული ტყორცნით დააწინაურა „დინამო“ — 50:49.

...დადგა საბჭოთა და, კერძოდ, ქართული კალათბურთისთვის ძვირფასი და დაუკინებარი 1972 წელი — მიუნწერის ოლიმპიური თამაშების წელიწადი, უამი ოთხნლეულის უდიდესი სპორტული შეჯიბრებისა, რომელშიც თუნდაც მხოლოდ მონანილეობაა უამრავი სპორტსმენის ოცნება!

6-7 მაისს საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების წაკრები (ოლონდ არა ოლიმპიური) თბილის ენვია. სტუმრებმა ორი შეხვედრა გამართეს — „დინამოსთან“ და საქართველოს წაკრებთან (ფაქტობრივად, იმავე „დინამოსთან“) და ორივე მეტოქე დაამარცხეს, შესაბამისად — 117:86 და 90:82. მაგრამ აქ სხვა რამ არის აღსანიშნავი: მიხეილ



ქორქიამ პირველ მატჩში 23 ქულა მოაგროვა, მეორეში — 31, თან ვისთან — თვით ამერიკელებთან!

მარტო ამ მშრალი ციფრებიდანაც ნათლად ჩანს, როგორ ფორმაშია ჩვენი კალათბურთელი. ახლა კი ცნობილ სპორტულ ჟურნალისტს ნოდარ გუგუშვილს მოვუსმინოთ:

„...ფარქვეშ ბრძოლაში ამერიკელები შეუდარებლები არიან, მაგრამ აი, გამოჩენდა ტალანტი, რომელმაც მათს ფიზიკურ შესაძლებლობებს გადააჭარბა. მხედველობაში მყავს მიხეილ ქორქია, რომელიც მეორე მატჩში ხშირად მარტო უმკლავდებოდა ფარზე აზირთებულ სამ-ოთხ ამერიკელს“...

სოხუმის შეკრების შემდეგ, 24 ივნისს, მწვრთნელთა საბჭომ ოლიმპიური ნაკრების თითქმის საბოლოო სია გამოაქვეყნა: სერგეი ბელოვი, ალუან ჟარმუხამელოვი, ივან ედეშკო, მოდესტას პაულაუსკასი, ალექსანდრ ბელოვი, ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ანატოლი პოლივოდა, ალექსანდრ ბოლოშვილი, გენადი ვოლნოვი, ივან დვორნი, სერგეი კოვალენკო.

აი, ეს შემადგენლობა იახლა ვლადიმირ კონდრაშინმა მიუნხენში, წინა-საოლიმპიადო მინი-ტურნირზე, რომლის დამთავრების შემდეგაც მთავარმა მწვრთნელმა განაცხადა: „ამ ტურნირს დიდ მნიშვნელობას ვარიჭებდი, რადგან ზოგიერთ მოთამაშესთან ერთად მიხეილ ქორქიას შესაძლებლობებიც უნდა შემემონებინა.

„დინამოს“ შემადგენლობაში ქორქიამ კარგად, ზოგიერთ შეხვედრაში კი ბრწყინვალედ ითამაშა, სამაგიეროდ ევროპის ჩემპიონატსა და სან-პაულუს წლევანდელ ტურნირში თავი ვერ გამოიჩინა. ამიტომ მისი ბედი მთლიანად მასზევეა დამოკიდებული. მიშას საშუალება აქვს, თავი გამოიჩინოს გაგარინის მემორიალში, რომელიც სწორედ ოლიმპიადის წინ იმართება“.

თბილისში გამართულ იური გაგარინის მესამე მემორიალზე კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მაღალი კლასი ზურაბ საკანდელიძემ, ხოლო მიხეილ ქორქიამ საკუთარ თავს აჯობა და მწვრთნელმაც უყოყმანოდ მიუჩინა ადგილი ოლიმპიურ გუნდში.

ოლიმპიური თამაშების ჯგუფური და ნახევარფინალური ეტაპების რვა მატჩის მოგებაში ქართველმა კალათბურთელებმა ნაკლები წვლილი შეიტანეს, რადგან მათ მწვრთნელებმა არ მისცეს თავის გამოიჩინის საშუალება. ფინალურ მატჩში კი, ამერიკელების წინააღმდეგ, ზურაბ საკანდელიძე და

მიხეიილ ქორქია პირველი წუთებიდანვე მოედანზე იყვნენ და ისეთი ცეცხლი დაანთეს, თვით მეტოქე გუნდის მოთამაშეები დააბნიეს. ეს უფრო ზურაბ-ზე ითქმის, რომელმაც თავისი ელვისებური შეტევებით, დაცვაში უაღრესად ყურადღებიანი თამაშითა და ბურთის ოსტატურად აწაპვნით ყველა გააოცა. მიხეიილი უფრო შებოჭილი ჩანდა, მაგრამ მხარს მაინც უბამდა უფროს მე-გობარს და 2 ქულაც კი აიღო, მერე და მერე კი უფრო გათამამდა, ის დიდი დაძაბულობა მოიშორა და თამაშის ეშებშიც შევიდა.

შესვენების შემდეგ ქორქიას ამერიკელთა ერთ-ერთი ლიდერის, დუაიტ ჯონსის დაჭერა დაავალეს, რომელმაც პირველ ნახევარში ფრთხები გაშალა და ქულას ქულაზე აგროვებდა.

სწორედ იმ დუაიტ ჯონსთან მოუხდა მიხეიილს ინციდენტი, რომლის გა-მოც ორივე მოთამაშეს მოედანი დაატოვებინეს. ის ფირო რამდენჯერმე სა-განგებოდ ვნახე და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მიშას ბრალი არა-ფერში მიუძღვოდა. ფარქვეშ ბურთი ვერ გაიყვეს და ის ამერიკელიც უხეშად მოიქცა. აქ კი ველარ მოითმინა ქართველმა კალათბურთელმა და უხეშობით-ვე უპასუხა, თორემ, სხვანაირად რომ ყოფილიყო, ორივეს კი არ გააძევებ-დნენ, უმაღ საბჭოთა სპორტმცენისკენ გაიშვერდნენ ხელს.

აი, როგორ გაიხსენა ეს ეპიზოდი თავად მიხეიილ ქორქიამ:

„როცა ჯონსი და მე გაგვაგდეს, მწვრთნელს თვალს ვერ ვუსწორებდი და გადავწყვიტე, შორს, სკამის კიდეზე დავმჯდარიყავი. ნაკრებში ჩემი კა-რიერა დამთავრებულად ჩავთვალე! კონდრაშინი თვითონ მოვიდა, ბეჭებზე ხელი მომითათუნა, თამაშისთვის მაღლობა გადამიხადა და გაპრწყინებული თვალებით მითხრა - იცი, შენ ვინ გააგდეო?! ამით მეც და მთელი გუნდიც დაგვაწყნარა“.

დუაიტ ჯონსი:

„მეორე ტაიმი ძალიან კარგად დავიწყეთ და ანგარიშში სხვაობას ნელ-ნელა ვამცირებდით. მე ყველაფერი გამომდიოდა - ბურთის მოხსნაც, ზემო-დან ჩაგდებაც. მაგრამ მერე ახალი მეურვე დამიყენეს (ქორქიას გულისხმობს — ავტ.). ერთ მომენტში თავში წამითაქა, ვალში არც მე დავრჩენილვარ და მსაჯმა ორივეს სათადარიგოთა სკამისკენ მიგვითითა“.

მერე რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის — ზურაბ საკანდელიძის „ოქ-როს ფოლი“, ივან ედეშმოს „ოქროს პასი“ და ალექსანდრ ბელოვის „ოქროს



ქულა“, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ მიხეილ ქორქიას წამოწყებული იყო. რომ არა მეტოქის ბომბარდირის გაძევება, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა შემდეგში ბრძოლა. ამიტომაც, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ის ინციდენტი „ოქროს ინციდენტად“ უნდა შეფასდეს.

...1973 წლის მარტი დიდხანს ემახსოვრებათ სტაჟიან გულშემატკივრებს.

სპორტსმენის ცხოვრებაში წარმატებას ხშირად ენაცვლება მარცხი. იგი ყოველთვის არ არის ჩვეულ სპორტულ ფორმაში, შეიძლება უქეიფოდ იყოს, „მარცხნა ფეხზე“ ადგეს, თამაში არ გამოუვიდეს... ამას ბუნებრივი მღელვარება, წერვიულობა მოჰყვება და, არცთუ იშვიათად, ყველაფერი ცუდი შედეგით მთავრდება. მით უმეტეს, ასეთი რამ უცხო არ არის მიხეილ ქორქიას დარი ემოციური ადამიანისთვის.

აი, მაგალითად, ჩემი მეტსიერებიდან არ ამოიშლება 2 მარტს თბილისში კაუნასის „უალგირისთან“ გამართული შეხვედრა. ლიტველთა საუკეთესო კლუბთან ბრძოლა ყოველთვის ისეთივე უშედავათო და პრინციპული იყო ჩვენი „დინამოსთვის“, როგორც, ვთქვათ, ცსკა-ს, ლენინგრადის „სპარტაკის“ კალათბურთელებთან. „უალგირისთან“ მიღწეული 14-ქულიანი უპირატესობის გაფანტვა რომ მარცხის ტოლფასი იყო, ყველა დამეთანხმება. პირდაპირ ვთქვათ — მიშა ქორქიამ ის მატჩი წააგო. იმიტომაც მახსოვს დღემდე ის შესვედრა. ასეთი რამ ხომ ძალიან იშვიათად ხდებოდა, მიხეილ ქორქია მუდამ გუნდის იმედი იყო და ასეთი შემთხვევები მის კარიერაში თითზე ჩამოსათვლელია.

მაგრამ ფაქტია. სპორტსმენი ისე იყო ალელვებული, ისე წერვიულობდა, რომ ოთარ ქორქიაც იძულებული გახდა, ძმისშვილი სათადარიგოთა სკამზე დაესვა.

ის საბედისწერო მატჩი 68:69 წავაგეთ. არადა, ის დღე ზურაბ საკანდელიძის ნამდვილი ბენეფიციი იყო. გუნდის კაპიტანმა ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი შეხვედრა და დიდი წვლილი შეიტანა გუნდის 14 ქულით დაწინაურებაში...

სამაგიეროდ, მესამე დღეს, 4 მარტს, ტარტუს „კალევთან“ დამატებით დროში 2 ქულით მოგებულ შეხვედრაში ქორქიამ ბრწყინვალედ ითამაშა და დიდი სარგებლობაც მოუტანა გუნდს.



უკვე დადგა დრო, ის მეტად უსიამოვნო ამბავიც გავიხსენოთ, მიხეილ ქორქიას 1973 წლის 22 მარტს რომ გადახდა.

აი, ერთმა გაუნონასნორებელმა ნაბიჯმა, თავხედურმა გამოხდომამ, დაუსჯელობის სინდრომმა რა გამოიწვია! მთელი გუნდი ააწიოკეს!

უფროსი მწვრთნელი მოიხსნა, მიხეილ ქორქიამ სასტიკი გაფრთხილება მიიღო ერთი წლის პირობითი დისკვალიფიკაციით! ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდის მესაჭესა და ოლიმპიურ ჩემპიონს უფრო უარესი რა უნდა შეხვედროდათ სპორტში!

და მიშა აღიარებდა კიდეც, დასასჯელი ვიყავი, მით უმეტეს, იმ დროში. ეგ არის, ბიძაჩემი შევიწირე და ამაზე მტკივა გულიო, — ჩემთვისაც უთქვამს და სხვებისთვისაც.

ოლონძ!

მართალი ვიყავი, იმ წუთში სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი, მაშინ მიშა ქორქია არ ვიქნებოდიო, — ესეც ხომ მისი სიტყვებია.

მკითხველს უთუოდ გაუკვირდება, თუ დასასჯელი იყავი, მართალი როგორდა ხარო.

ჩემი და უფროსი თაობის ხალხს უთუოდ ემახსოვრება, ფორმაში იყო თუ არა მიხეილ ქორქია, ხასიათზე იყო თუ არა, თამაში გამოსდიოდა თუ არა, მოედანზე ბოლომდე იხარჯებოდა, ბობოქობდა, როგორც თვითონ იცოდა თქმა, „დუხით“ სცემდა მეტოქებს და, არცთუ იშვიათად, მსაჯებსაც. ამიტომ იმას ვერავინ იტყვის, არ ითამაშა, იზანტა, გუნდის ინტერესები ფეხებზე დაიკიდაო. როგორ გეკადრებათ!

„ჟალგირისთან“ მიშას გამო რომ ნააგო გუნდმა, ხომ ვთქვით, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ არ მოინდომა ან არ იბრძოლა. პირიქით, ძალიან რომ ნერვიულობდა, ემოციურად რომ გადაიწვა და სათადარიგოთა სკამზე დასვეს, გუნდმა იმიტომ ნააგო.

ასე იყო მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის (რტი) გუნდთან მატჩშიც. ოლონდ აქ ერთმა კაცმა კი არა, ყველამ ნააგო, მაგრამ ის ბიჭი, ის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც სპორტსმენი ტრიბუნებზე აუხტა, მაინცდამაინც ქორქიაზე იყო აღრენილი და პასუხიც მიიღო.

იმ არაქათგამოცლილი ბიჭების შემხედვარე, მათ ვინ დაუსტვენდა. იმედგაცრუებული გულშემატკივარი თავისთვის სკდებოდა გულზე, უხმა-

უროდ. ამ ახალგაზრდამ კი დაუძახა, — მიშა ქორქიაო! ეს ხმა ძალიან მკაფიოდ გაისმა. გაკვირვებულმა მიშამაც იმ ტრიბუნისკენ გაიხედა, საიდანაც დაუძახეს. თავის მიტრიალება და ცოლ-შვილის უხამსი შეგინება ერთი იყო! დარბაზში კი მისი მეუღლეც იჯდა, რომელიც დღე-დღეზე ელოდებოდა პირველ შვილს...

ახლა გეკითხებით, ღმერთმა დაგიფაროთ, მაგრამ ბევრი მოითმენდით ამ გინებას, მით უმეტეს, თუ ისეთივე ემოციური ხართ, როგორიც მიხეილ ქორქია იყო?!

მიშამაც ვერ მოახერხა და მეორე დღეს ის უბედური მაგინებელი მისი გამოსახსნელი გახდა მილიცის განყოფილებიდან.

„კაცურად, ჩემი სინდისის წინაშე მართალი ვიყავი“, — თქვა მიხეილ ქორქიამ.

... თუმცა, მეორე მხრივ, ეს უდავოდ ცივი შხაპი იყო გუნდისთვისაც და მიშა ქორქიასთვისაც...

1973 წლის მაისის ბოლოს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა კუბაში გამართულ მსოფლიო კალათბურთის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და პირველობა არავის დაუთმო. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის პირველ მატჩში, პერუს ნაკრებთან, საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანი მიხეილ ქორქია იყო — 26 ქულა. სამწუხაროდ, ამ ტურნირის შესახებ სხვა არავითარი ინფორმაცია არ არსებობს და ვერ გეტყვით, ან იუგოსლავიასთან, ან კუბასთან, ან ამერიკასთან ვინ როგორ ითამაშა, თუმცა საბჭოთა გუნდის მატჩების ანგარიშები ვიცით. მაგალითად, იუგოსლავიას მოუგეს — 77:70, კუბას — 84:51, ხოლო აშშ-ს — 68:60.

რადგან ჩვენი გმირის შედეგიანობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საკავშირო თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე „დინა-მომ“ კიევში „სტროიტელს“ მოუგო 90:84, მისმა ლიდერმა მიშა ქორქიამ კი 42 ქულა მოიპოვა, რაც ოფიციალურ შეხვედრებში მისი სარეკორდო მაჩვენებელი გახდა (თუმცა შემდეგ წლებში 48 ქულით მან საკუთარი ახალი რეკორდი დაამყარა). აქვე იმასაც გეტყვით, რომ წინა წლის თასის მფლობელმა თბილისელებმა 1973 წელს, სოჭში, მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობის გამო დაუთმეს გამარჯვება ცსკა-ს: 67:75, 78:77.



ოქტომბერში თბილისში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების დინამიადა, რომელშიც თბილისისა და მოსკოვის დინამოელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა ბუქარესტის „დინამის“ შემდეგ. აქ ეს ტურნირი იმიტომ უნდა გავიხსენოთ, რომ მართლაც ბრწყინვალედ ითამაშეს სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა ზურაბ საკანდელიძემ და მიხეილ ქორქიამ, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს მზადყოფნა კარს მომდგარი ევროპის ჩემპიონატის წინ. მართალია, მიხეილი ბარსელონაში მაინც ვერ გაემგზავრა — უკვე იმ პერიოდში იგრძნო მან პირველად ხერხემლის ტკივილი, რის გამოც სპორტული კარიერის დასასრულს ოპერაციაც დასჭირდა. სამაგიეროდ, საკანდელიძემ ითამაშა, თუმცა გუნდი III ადგილს დასჯერდა. როგორც ჩანს, ოლიმპიური ჩემპიონობის ტურნირი ძალიან მძიმე სატარებელი გამოდგა.

ნოემბერში საბჭოთა კავშირის მორიგი, 41-ე ჩემპიონატი დაიწყო ტურობრივი სისტემით, თბილისისა და ტალინში. სასტარტო შეხვედრაში თბილისელებმა მოსკოველ თანაკლუბელებს მოუგეს (87:82), სადაც ქორქია კვლავ ყველაზე შედეგიანი იყო თავის გუნდში — 23 ქულა. გარდა შედეგიანობისა, მიხეილმა ამ შეხვედრაში საერთოდ ჩინებულად ითამაშა და კარგად აუბა მხარი გუნდის ჭეშმარიტ ლიდერს, ზურაბ საკანდელიძეს. სტუმრები ამ შეხვედრაში დაინიაურდნენ, მაგრამ ბოლოს ველარ გაუძლეს მეტოქის მასირებულ შეტევას და გატყდნენ როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად და ფსიქოლოგიურად. ვისაც იმ მატჩის დასკვნითი წამები ახსოვს, არც ის დაავინყდებოდა, რომ არაქათგამოცლილი საკანდელიძე და ქორქია, რომლებმაც ყველაფერი ჩააქსოვეს ამ გამარჯვებაში, ფეხზე ძლივს იდგნენ.

ასეთი თამაშის შემდეგ, ბუნებრივია, ძალიან რთული იყო ბრძოლა და დინამოელებმაც მეორე ადგეს კიევის არმიელებთან დათმეს გამარჯვება. მესამე დღეს კი მათ წინაშე ცსკა იდგა. საინტერესოა „ლელოში“ ნოდარ გუგუშვილის კომენტარი: „თბილისელებმა თანაბარ ბრძოლაში დაამთავრეს პირველი ტაიმი. მერე ისინი შედრკნენ, დაყარეს ფარ-ხმალი, ენდშპილში კი კიდევ ერთხელ გაიპრძოლეს თავგამოდებით და 20-ქულიანი სხვაობა ბოლოს 4 ქულამდე დაიყვანეს. ამ მატჩის მიხედვით დამარცხებული გამარჯვებულზე არანაკლებ ქებას იმსახურებს. „დინამომ“ თავის თავსაც კი გადააჭარბა და დამარცხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბრძოლაში მოღლილებსა და დაცემულთ

აღარავინ ჰყავდათ შემცვლელი. ასეთი ნერვული და ფიზიკური დაბაბეთი შეიძლება თვეში ერთი მატჩი ჩატარო, მაგრამ ყოველდღე, ყოველ ტურში?..“

დიახ, „დინამომ“ ძალიან მძიმედ გადაიტანა თაობათა ცვლის ურთულესი პროცესი. მით უმეტეს, ანზორ ლეუავას დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ფაქტობრივად მოშინევლდა ფარი, იმ კონკრეტულ მატჩებში კი, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, ახალგაზრდა ცენტრალურ თავდამსხმელს იური ძიძიგურს ტრავმის გამო არ უთამაშია. წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდა გუნდი. მთელი ჯაფა ლიდერებს დააწვათ, თუმცა არც „რიგით“ მოთამაშებს ადგათ კარგი დღე, ისინიც ყოველ შეხვედრაში ბოლომდე იხარჯებოდნენ.

1973 წლის მინურულს ზურაბ საკანდელიძეს ხელის ტრავმის გამო არ უთამაშია. მინსკის გუნდთან მატჩში დაშავებაშ მას საკავშირო ჩემპიონატის თორმეტი მატჩი გამოატოვებინა. მიხეილ ქორქია კი კვლავ საუკეთესო „მე-გოლეა“ — ოთხივე შეცვედრაში: რტი-სთან 26 და 29 და „ჟალგირისთან“ 28 და 27 ქულა მოიპოვა (აღსანიშნავია, რომ დინამოელებმა ახალი ჩემპიონატის პირველი ოთხი მატჩი მოიგეს)! დამეთანხმებით, ჩემპიონატის სტარტზე 110 ქულა ოთხ მატჩში, ანუ საშუალოდ თითოეულ შეცვედრაში 27,5 ქულა ბრნყინვალე შედეგია.

კაუნასელთა მთავარი მწვრთნელის ვიტაუტას ბიმბას კომენტარი: „იცით, რა არის დღესდღეობით თბილისის „დინამოს“ უპირატესობა? ის, რომ მას მიხეილ ქორქიას სახით ბრწყინვალე გარემარბი ჰყავს. მე ჯერ კი-დევ არ მინახავს ბევრი სხვა გუნდის თამაში, მაგრამ არა მგონია, რომელიმე გარემარბი ქორქიაზე უკეთეს ფორმაში იყოს“.

ამის შემდეგ „დინამოშ“ ერთი მატჩი მოუგო ცსკა-ს, მეორე კი წააგო. ევროპის უძლიერეს კლუბთან ქორქიას შედეგიანობამ იკლო, მაგრამ მაინც სტაბილური იყო — 17 და 16 ქულა.

დინამოელებმა „სტრონტელს“ ორი მატჩი მოუგეს და აქ, განსაკუთრებული მეორე შეხვედრაში, კვლავ გაიპროცესი მიხეილ ქორქიამ, რომელმაც ჩვეული თავგანწირვით ითამაშა.

მაგრამ, თუ ყველა ეს ბრძოლა მათ თბილისში გადახდათ, მომდევნო ორი მატჩი სკორდლოვსკი მოიგინა და ქორქია იქაკ საუკითხეს იყო — 31 და 25 ქულა!

მერე დადგა „კალევას“ ჯერიც, რომლის ერთ მატჩშიც მიხეილ ქორქიამ 30 ქულა მოიპოვა.



იააკ ლიპსო („კალევის“ კაპიტანი): „ყურადღება ძირითადად ქორქიაზე გვქონდა გადატანილი, ვინაიდან ყველაზე მეტ უსიამოვნებას მისგან ველოდით, მაგრამ ვერაფერი მოვახერხეთ. მიშა მართლაც უნაკლო იყო“.

ასე რომ, 41-ე ჩემპიონატის პირველ 12 მატჩში მიხეილ ქორქიას ანგარიშზე 271 ქულა იყო, ანუ თითოეულ შეხვედრაში საშუალოდ 22,5 ქულა.

ლენინგრადში „სპარტაკეთან“ 63:66 წაგებული მატჩის შემდეგ „სოვეტ-სკი სპორტის“ ადგილობრივმა კორესპონდენტმა აღნიშნა: „მთელმა გუნდმა (ლაპარაკია თბილისის „დინამოზე“ — ავტ.) თავგანწირულად ითამაშა, მაგრამ მაინც თუ ვინგეს გამოყოფაა საჭირო, ეს პირველ ყოვლისა მიხეილ ქორქიას, რომელმაც, საერთო აღიარებით, დღეს თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა“.

ახლა საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებს მოვუსმინოთ.

ვლადიმირ კონდრაშინი: „თბილისის „დინამო“ სერიოზულად მოემზადა ახალი სეზონისთვის და წარმატებით თამაშობს. მე, როგორც სსრ კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, განსაკუთრებით მახარებს ის, რომ მიხეილ ქორქიამ აღიდგინა ბრწყინვალე ფორმა“.

სერგეი ბაშკინი: „ხელახლა გაიფურჩქნა მიხეილ ქორქიას ოსტატობა. „დინამოს“ საკანდელიძის ტრაქმაც არ აფერხებს. მის არყოფნას გუნდი უნინდებურად მტკიცნეულად აღარ განიცდის“.



იქნებ მაინცდამაინც ამ წელიწადს, წლის ამ მონაკვეთში იყო მიხეილ ქორქია საუკეთესო სპორტულ ფორმაში და ჩვენც სწორედ ამ პერიოდს ჩავულრმავდით?

კარგი ბატონი, სხვა პერიოდსაც გადახხედოთ.

ავილოთ, მაგალითად, 1975 წლის 18-19 იანვრს თბილისში გამართული ორი მატჩი, მოსკოვის „დინამოსთან“ — 81:75 და 99:88. პირველ შეხვედრაში ქორქიას ანგარიშზეა 17 ქულა, მეორეში... 40! „...ეს ნახევარი გამარჯვებაა და კიდევ ერთი დადასტურებაა ამ კალათბურთელის დიდებული ნიჭისა და მონდომებისა,“ — ვკითხულობთ „ლელოს“ მიმოხილვაში.

42-ე საკავშირო ჩემპიონატის 15 მატჩის შემდეგ მიხეილს 389 ქულა ჰქონდა მოპოვებული, ანუ თითოეულ მატჩში საშუალოდ თითქმის 26 ქულა! ამ ჩემპიონატის ბოლოს კი, რომელშიც „დინამომ“ IV ადგილი დაიკავა, მიხეილ ქორქიას 725 ქულა ჰქონდა, რაც 36 შეხვედრაში საშუალოდ, 20,1 ქულას

სსრ კავშირის ნაკრები.  
პირველ რიგში,  
მარცხნიდან მეორე —  
მიხეილ ქორქია,  
მესამე —  
ზურაბ საკანდელაძე.  
1972 წლით





თბილისის „დინამო“ —  
სსრ კავშირის 1968 წლის  
ჩემპიონი

უდრის, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სპორტსმენმა ტრავმისა თუ შეკრებების გამო რამდენიმე მატჩი გამოტოვა, პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნება, თუმცა არც ესაა ცოტა. ამ შედეგით ქორქია მესამე იყო ჩემპიონატის სნაიპერთა შორის. პირველ ადგილზე გასულ ანატოლი მიშკინს 904 ქულა ჰქონდა, რაც სულაც არ არის გასაკვირი — ამ წელს ის სვერდლოვსკის „ურალმაშში“ თამაშობდა, აუტსაიდერთა რიგებში კი, როგორც წესი, მხოლოდ ერთი ბომბარდირია და გაჭირვებაში ჩავარდნილი გუნდიც მთლიანად მასზე აგებს თამაშს. მოსკოველი დინამოელის ალექსანდრ სიდიაკინის აქტივში კი 731 ქულა იყო.

ანდა, გავიხსენოთ 1977 წლის რამდენიმე შეხვედრა. მინსკში, მასპინძლებთან მოგებული მატჩის შემდეგ ადგილობრივი კორესპონდენტი „სოვეტსკი სპორტში“ წერდა: „...შესანიშნავად ითამაშა მიხეილ ქორქიამ, რომელიც არა მარტო შედეგიანობით გამოირჩეოდა, არამედ პარტნიორებსაც უწყობდა ხელს შეტევების წარმატებით დაგვირგვინებაში“.

მოსკოვის არმიელებთან თბილისური მატჩის ერთი ქულით წაგების (88:89) შემდეგ „ლელო“ წერდა: „თამამად შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ მატჩის სიმზვავე და დაძაბულობა მნიშვნელოვანილად განაპირობა მიხეილ ქორქიას ჭეშმარიტად გმირულმა ბრძოლამ ფარის ქვეშ. ძნელია, ძალზე ძნელი, ყველა მომენტის სტენოგრაფიული აღნუსხვა, ისეთი სიხშირით მეორდებოდა ისინი ხან ერთი, ხან მეორე ფარის ქვეშ, მაგრამ შეიძლება იმის თქმა, რომ ქორქიას ამ ბრძოლებში ბადალი არ ჰყავდა.

ფარზე დაკარგული უპირატესობის ანაზღაურება არმიელებმა, ბუნებრივია, „მოედანზე“ სცადეს. მაგრამ აქაც შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. „დინამო“ უბრძოლველად არ თმობდა სათამაშო მონაკვეთის არც ერთ მეტრს. აქაც იმავე მიხეილ ქორქიას, იური ჰულავსკის, თამაზ ჩიხლაძისა და სხვათა წყალობით აბსოლუტური თანაფარდობა დამყარდა“.

იმავე წლის ჩემპიონატის ბოლოსწინინა, კიევის ტურის ორ დასკვნით მატჩში თბილისის „დინამო“ ლენინგრადის „სპარტაკსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შეხვდა. იმ მატჩებში „ქორქიამ მაღალი ტექნიკა, ტაქტიკური აღლო და ორივე ფარქვეშ ძლიერი თამაშის უნარი გამოავლინა“ — გვაუწყებს „სოვეტსკი სპორტი“.

სსრ კავშირის 44-ე ჩემპიონატის დასკვნითი ტური კი თბილისში მოეწყო და „დინამომ“ ჯერ ცსკა-ს მოუგო — 94:84 (მიხეილ ქორქიამ 28 ქულა მოაგ-



როვა), შემდეგ „უალგირის“ — 100:90 (ისევ 28 ქულა), მოსკოვის „დინამოს“ — 111:88 (35) და კიევის „სტრონტელს — 103:85 (22). ამგვარად, 4 მატჩში ქორქიას ანგარიშზეა 113 ქულა, საშუალოდ თითოეულ შეხვედრაში — 28,25 ქულა. მართლაც დიდოსტატური შედეგია!

ამიტომაც იყო, როცა უურნალისტებმა რამდენიმე მწვრთნელს თბილის ტურის საუკეთესო ხუთეულის დასახელება სთხოვეს, ვლადიმირ კონდრაშინმა („სპარტაკი“), ვიტალი კოვიანოვმა („სტრონტელი“) და სტეპას ბუტაუტასმა („უალგირისი“) ამ ხუთეულში უყოფმანოდ დაასახელეს მიხეილ ქორქია. იგი არ დაუსახელებია მხოლოდ ანატოლი ასტახოვს (ცსკა), თუმცა, დანარჩენებისგან განსხვავებით, მან საუკეთესო ხუთეულში ორი სხვა ჩვენი დინამოელი — თამაზ ჩიხლაძე და ნიკოლოზ დერიუგინი შეიყვანა.

სხვათა შორის, ამ ჩემპიონატში თბილისელებმა დიდი ხნის პაუზის შემდეგ მოიპოვეს მედლები, ამჯერად მხოლოდ ბრინჯაოსი. ალბათ, ეჭვი არავის შეეპარება, თუ ვიტყვი, რომ ამ წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მიხეილ ქორქიამ.

...1975 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს კალათბურთეულთა ნაკრებმა III ადგილი დაიკავა. ეს ძალაან დიდი წარმატება იყო, რაშიც უდიდესი დამსახურება მიუძღვის საკანდელიძე-ქორქიას დუეტს.

საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების პირველ ეტაზზე, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა, საბჭოთა ნაკრებმა ყველას აჯობა. სპეციალისტთა საერთო აზრით, საუკეთესონი იყვნენ სერგეი ბელოვი, მიხეილ ქორქია და ივან ედეშვილი.

მეორე ეტაპზე, რიო-დე-ჟანეიროში, ბრაზილიელებთან შეხვედრაში (76:72) მიხეილ ქორქიას ანგარიშზე, მართალია, 8 ქულა იყო, მაგრამ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებმა იგი ერთ-ერთ საუკეთესოდ დაასახელეს. სსრ კავშირის გუნდმა ოკეანის გაღმაც მხოლოდ ერთი მატჩი დათმო — ოტავაში, კანადელებთან და ვადამდე მოიპოვა საკონტინენტთაშორისო თასი. ვლადიმირ კონდრაშინმა ქორქია ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ დაასახელა.

მანამდე კი კარლოვაცსა და ბელგრადში (იუგოსლავია) ევროპის მე-19 ჩემპიონატი გაიმართა. საბჭოთა ნაკრებმა ფინალი მასპინძლებთან ნააგო (84:90) და ვერცხლის მედლები მიიღო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ქორქიას ამბავი

გვაინტერესებს. მიხეილმა ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რამდენიმე მატჩი კი, მათ შორის ფინალში, იუგოსლავიელების წინააღმდეგ, სასტარტო ხუთეულის წევრიც იყო. რაც შეეხება შედეგიანობას, უკვე პირველ შეხვედრაში, პოლონელებთან (79:71), ქორქიამ 19 წუთში 13 ქულა მოიპოვა. საინტერესოა, კიდევ რას ითხოვდნენ ქართველი კალათბურთელისგან მწვრთნელები, რომ მეტი სათამაშო დრო არ გამოიყენეს?! ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ სხვა შეხვედრებში კონდირაშინმა ქორქია კიდევ უფრო ნაკლებ ხანს ამყოფა მოედანზე, თუმცა ქართველმა სპორტსმენმა მაინც შეძლო თავის გამოჩენა და მწვრთნელებმაც თბილი სიტყვებით დაუფასეს გარჯა: „მიხეილ ქორქია თავისი შეუპოვრობით გამოირჩეოდა და მთელ რიგ შემთხვევებში სწორედ რომ საჭირო და კრიტიკულ სიტუაციებში შეძლო თანაგუნდელთა „აღგზნება“ — ეს სერგეი ბაშკინის სიტყვებია ფინალური მატჩის შემდეგ საკდესის კორესპონდენტთან მიცემულ ინტერვიუში.

იმავე 1975 წელს საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრებს თავის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ტურნირი ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან სხვადასხვა შტატისა თუ ქალაქის გუნდებთან 19 მატჩი გამართა, რომელთაგან 14 მოიგო და 5 წააგო. ამერიკელი სპეციალისტები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ქორქიას, ედეშკოს, უიგილიის, ალექსანდრ ბელოვის კარგ თამაშს და საბრძოლო თვისებებს, ხოლო ვლადიმირ კონდრაშინმა ქარმუხამედოვის, სერგეი ბელოვის, ედეშკოს, ქორქიას, მილოსერდოვისა და სილანტიევის ოსტატობა გამოყო...

ქულები ქულებად, მაგრამ ვინ მოთვლის, რამდენი მოხსნა, „საგოლე“ პასი, ჩატრა თუ დაფარებაა მიხეილ ქორქიას ანგარიშზე! სრული სტატისტიკური მონაცემები იმ დროს არ ქვეყნდებოდა და ჩვენც მოკლებულნი ვართ ამ ინფორმაციას, მაგრამ, ვისაც ამ კალათბურთელის თამაში ახსოეს, აუცილებლად დამეთანხმება, რომ იგი ამ კომპონენტებშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო!

ნებისმიერი ცენტრალური თავდამსხმელი საბჭოთა კავშირში თუ უცხოეთში თავბედს იწყევლიდა ქორქიასთან თამაშის შემდეგ. მას გამნარებული ჰყავდა ანდრეევიც, ტკაჩენკოც, სერგეი კოვალენკოც, ბელოსტენიც...

კოლეგები იხსენებენ, რომ მიშას ზურგს უკან, მისი წინამძღოლობით ისინი როგორლაც დაცულად გრძობდნენ თავს, მიშა მათი იმედი იყო — ერთი



რომ შესძახებდა, აბა, ბიჭებო, წავედითო, მკვდარიც რომ ყოფილიყავი, წა-  
მოხტებოდი და ბრძოლაში შეიქრებოდიო.

1976 წლის აპრილის ბოლოს იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში მოეწყო  
საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპის სამ უძლიერეს ნაკრებთან  
(სსრკ, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია) ერთად კუბის ეროვნული გუნდიც მო-  
ნანილეობდა. ეს იყო ოლიმპიადისთვის მზადების პირველი ეტაპი და ამიტო-  
მაც სსრკ ნაკრების მეორე ადგილი საბჭოთა პრესაში საქმაო წარმატებად  
შეფასდა. უნდა ითქვას, რომ მიხეილ ქორქია მაღალი შედეგიანობით აქაც გა-  
მოირჩიოდა, თუმცა, ისევ და ისევ, ყველა შეხვედრის სტატისტიკური მონა-  
ცემი არა გვაქვს და ამიტომაც ბევრს ვერაფერს გეტყვით. ის კი ვიცით, რომ  
ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან მატჩში მან 19 ქულა ჩაინწრა აქტივში, ასევე შე-  
სანიშნავად ითამაშა კუბის ნაკრების წინააღმდეგ.

მონრეალში საბჭოთა ნაკრები მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონის სტატუ-  
სით ჩავიდა, თუმცა არავის ჰქონდა ილუზია, რომ კანადაში ის ტიტულს შეი-  
ნარჩინებდა. საქმე ისაა, რომ 1972 წლის შემდეგ გუნდი საქმაოდ დასუსტდა.  
მიზეზად მარტო ისიც კმარა, რომ ნაკრებში კარიერა დაამთავრეს ისეთმა  
დიდოსტატებმა, როგორიც ზურაბ საკანდელიძე, მოდესტას პაულაუსკასი,  
ივან ედეშვილ და სხვები იყვნენ.

ესეც რომ არა, ბოლო ხანს ვლადიმირ კონდრაშინის მიერ რამდენჯერ-  
მე წაგებული ევროპის ჩემპიონატი დიდი ოპტიმიზმის საფუძველს მაინც არ  
იძლეოდა. თუ თოხი წლის წინ მხოლოდ ამერიკის გუნდი იყო საბჭოთა ნაკრე-  
ბისთვის საფრთხობელა, ახლა მას იუგოსლავიაც მიემატა, რადგან ამ ქვეყ-  
ნის კალათბურთელთა დამარცხებაც არანაკლებ პრობლემად იქცა.

ასეა თუ ისე, ოლიმპიური ტურნირი დაიწყო. პირველივე შეხვედრაში  
მექსიკელებთან საუცხოოდ ითამაშეს ალექსანდრ ბელოვმა, მიხეილ ქორქი-  
ამ და ვლადიმირ ტკაჩენკომ. ჩვენი თანამემამულე ოლიმპიადაზე სასტარტო  
ხუთეულის მუდმივი წევრი იყო და სხვებზე ნაკლები დამსახურება არ მიუძ-  
ლოდა ავსტრალიის, კანადის, კუბის გუნდების ძლევაში.

ნახევარფინალში საბჭოელებს ისევ „იუგები“ გადაელობნენ. მეტოქე მთე-  
ლი მატჩის განმავლობაში წინ იყო, კონდრაშინის ბიჭებმა ვერაფერი მოუხერ-  
ხეს ჩოსიჩა და კიჩანოვიჩს და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ — 84:89 (42:42).  
ამერიკელებმა ფინალში იოლად გატეხეს იუგოსლავიელთა წინააღმდეგობა

(95:74), სსრ კავშირის ნაკრებმა კი III ადგილისთვის ბრძოლაში კანადის ეროვნული გუნდი მეორედ დაამარცხა (100:72) და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ზედიზედ ორჯერ წაგებული ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიურ თა-მაშებში განცდილი მარცხის შემდეგ ამჯერად ვლადიმირ კონდრაშინი მოა-შორეს ნაკრებს და გუნდს ძველი მესაჭე ალექსანდრ გომელსკი დაუბრუნეს.

მონრეალის ოლიმპიადიდან ერთი წლის შემდეგ, 1977 წელს, გომელსკი-სა და იური ოზეროვის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ნაკრებმა სა-კონტინენტთაშორისო თასის ახალ, მეორე გათამაშებაშიც ყველას აჯობა.

მიხეილ ქორქიამ ამ ტურნირშიც გამოიჩინა თავი. სამწუხაროდ, ამ ორ კონტინენტზე გამართული 5-5 მატჩის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით, რადგან მნირი სტატისტიკური მონაცემებიც კი ვერ ჩავიგდეთ ხელში, მაგრამ, რასაც მივწვდით, იქიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს კალათბურთელს ბევრ შევედრაში სასტარტო ხუთეულში დაუწყია თამაში, ზოგიერთ მატჩში კი სნაიპერობითაც გამოუჩენია თავი.

შეჯიბრების შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა ძირითადად გუნდის ნაკლოვანებებზე ილაპარაკა და აქა-იქ გაკვრით შეაქმ ზოგიერთი კალათბურთელი: „ქორქია ყოველთვის აზარტულად, მამაცურად იბრძოდა, თუმცა ხანდახან შეცდომებსაც უშვებდა. ...დერიუგინი სისტემატურად აუმჯობესებს თამაშს...“

...თუმცა იუგოსლავიელებს ვერც გომელსკიმ მოუხერხა რამ და ბელგიაში, ლიექში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ფინალში საბჭოთა ნაკრებმა კიდევ ერთხელ ინვნია ამ გუნდთან მარცხი — 61:74 (27:42).

ნარსულში ცნობილი რუსი კალათბურთელი და მიმომხილველი ელენა რერიხი „სოვეტსკი სპორტში“ ნახევარფინალში იტალის ნაკრებთან მატჩის შესახებ გამოქვეყნებულ წერილში იხსენებდა: „Пытайась в рывке достать мяч, Коркия перелетел через рекламные щиты“. მე მგონი, ქორქიას ასეთი თავგანნირვა არავის გაუკვირდება.

რადგან 1977 წელზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არაფერი ვთქვათ პოლონეთში გამართულ სოცეკეყნების დინამიადაზე, სადაც საბჭოთა „დინა-მომ“ პირველობა არავის დაუთმო, მიხეილ ქორქიამ კი ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა და ნიკოლოზ დერიუგინთან ერთად უიკიმ სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.



ვითომმც არაფერი — მიხეილ ქორქია ისე გრძნობდა მოედანზე თავს, ისე ბობოქრობდა, ისეთ ცეცხლს ანთებდა, ისე აქეზებდა და ამხნევებდა თანა-გუნდელებს, ვერც კი შეატყობდი, როგორ ტანჯავდა ხერხემლის გაუსაძლი-სი ტკივილი.

აი, ახლაც, 1978 წლის სეზონი ისე კარგად დაიწყო, ალექსანდრ გომელ-სკი დაპირდა, ოქტომბერშიც თუ ასეთ ფორმაში იქნები, მსოფლიო ჩემპიონატისთვის აუცილებლად გამოვიდახებო.

ეს მაშინ მოხდა, როცა თბილისის სპორტის სასახლეში სსრ კავშირის 45-ე ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩის მესამე დამატებით დროში მოვუ-გეთ კაუნასის „ჟალგირის“ — 117:116 (46:46, 94:94, 100:100, 110:110). თამა-შით აღვრთოვანებული ნაკრების მთავარი მწვრთნებლი დინამოელთა გასახ-დელში ჩავიდა და „ასეთი კარგი თამაშისთვის“ დიდი მადლობა გადაუხადა გუნდს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ქორქიამ ამ მატჩში 27 ქულა მოიპოვა, დე-რიუგინმა — 28. ხოლო ცოტა ადრე, როცა მოსკოვში ადგილობრივ თანაკლუ-ბელებს მოუგეს (96:94), მიხეილ ქორქიამ 33 ქულა დააგროვა.

„ჟალგირისის“ შემდეგ ძალაგამოცლილმა დინამოელებმა მომდევნო მატჩი ლენინგრადის „სპარტაკთან“ საკმაო სხვაობით წააგეს (102:114), მაგ-რამ ქორქია მაინც ორივე გუნდში საკუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ამ დღეს მან თავის გუნდს 37 ქულა შესძინა.

არაფერსაც არ იმჩნევდა და, მოედანზე რომ იდგა, მგონი, არც არაფე-რი ახსოვდა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ თავს იკლავდა, როგორც ბავ-შვიობაში ისწავლა, როგორც სულმნათმა სულიკო თორთლაქემ ჩაუნერგა, ზუსტად ისე იქცეოდა. სარბიელზე კაცი კი არა, ლომი იდგა!

აი, თბილისში, მოსკოვის დინამოელებს 110:105 მოუგეს. ნიკოლოზ დერი-უგინის ანგარიშზე 40 ქულა იყო, მიშამ კი თავის გუნდს 35 ქულა მოუტანა. რო-გორც ხედავთ, მატჩის მთელი სიმძიმე ამ ორი მოთამაშის მხრებზე გადავიდა.

ქორქია-დერიუგინის ტანდემი მართლაც ზღაპრულად ათამაშდა, მაგ-რამ რა დროს — როცა ერთის კარიერა მთავრდება და მეორისა იწყება?.. ან თუნდაც ზურაბ საკანდელიძეს და ნიკოლოზ დერიუგინს არ უნდა ეთამაშათ ერთად?

კოლია დერიუგინი მეუბნებოდა, მიშა მამასავით მექცეოდა, შვილივით ვყავდიო:



პატა გურას ბაული:  
„ჩემთვის კალათბურთი  
მიშა ქორქიასგან იწყება,  
მეორე ასეთ კალათბურ-  
თელი საერთოდ არ მინა-  
ხავს, ჯორდანებსა და მის-  
ნაირებს არ ვვულისხმობ.  
ჩემთვის მიშა საქართვე-  
ლოშიც და მის გარეთაც  
საუკეთესო მოთამაშეა,  
ყველაზე მავარია, ნამდვი-  
ლი უნივერსალი. ჯიგარი  
ჰქონდა, აფოფრილი ლომი  
იყო, რომელიც გარშემო  
ყველაფერს ნოქავს, მიშა  
იმედი იყო გუნდისთვის,  
კალათბურთისთვის, ხალ-  
ხისთვის, ყველასთვის..“



ლევან ინწკირველი,  
ალექსანდრე კილაძე,  
რევაზ გოგელია,  
ვლადიმერ უგრებელიძე,  
ჯიმი მიქელაძე,  
ილარიონ ხაზარაძე,  
ჯანო ბაგრატიონი,  
ანზორ ლეგავა და  
მიხეილ ქორქია



„მიშამ კაცობა მასწავლა, პატარა ბიჭმა მასთან დიდი სკოლა გავიარე, 17-18 წლისა ვიყავი. შემახედა გუნდის, ნაკრების სამზარეულოში. არ ვიცი, ასე რატომ ვუყვარდი, ალპათ იმიტომ, რომ მეც სულიკო თორთლაძის აღზრდილი ვარ. ყველაფერს აკეთებდა, რომ ნაკრებში თავი თამამად მეგრძნო. ამ ბიჭს არავინ აწყენინოსო, სულ ამას უჩიჩინებდა თამაშის დროსაც და მოედნის გარეთაც ნაკრების მოთამაშებს! მარტო ანატოლი მიშკინს რამდენჯერ ეჩეუბა ჩემ გამო, ვინ მოთვლის!..“

დინამოელები „ლენინის დარბაზში“ ვარჯიშობდნენ, სულიკო მასწავლებელმა რომ მიმიყვანა. თბილისში პირველად ვიყავი და გაუბედავად, შებოჭილად ვიქეორდი, მიშამ ისე გადამკოცნა, ისე ჩამეზუტა, გეგონება ოცი წლის ძმაკაცები ვყოფილყავით. არც ვიცოდი, ეს კაცი ვინ იყო, მერე გავიგე.

ბევრი სითბო მახსოვეს მისგან, ნამდვილი კარგი, ერთგული მეგობარი მყავდა, შინ დავყავდი, გამომივლიდა და თავისთან ნამიყვანდა, ხან ათ, ხან ოც მანეთს მაჩუქებდა ხოლმე, პატარა ბიჭისთვის მაშინ ეს დიდი ფული იყო! ერთხელ მიშა და მანანა სადღაც გაემგზავრნენ და თავისი სახლის გასაღები მომცა, ბინა მე ჩამაბარა“...

... „დინამო“ — „სტრონტელი“ — 108:103. ქორქია — 28 ქულა. იგი კვლავ ორივე გუნდშია საუკეთესო; ცსკა — „დინამო“ — 127:120. დერიუგინი 49 (!!!) ქულა, ქორქია — 29...

მაგრამ, როგორც ჩანს, მიხეილის ტრავმისა ალექსანდრ გომელსკისაც შეეშინდა და ქართველი კალათბურთელი მანილაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა.

ასევე იყო შემდეგი საკავშირო ჩემპიონატის სტარტზეც — გუნდის იმედი მიხეილ ქორქია კვლავ შეუდარებელია, კვლავ დაფრინავს მოედანზე და ახალგაზრდა ნიკოლოზ დერიუგინთან ერთად სასწაულებს სჩადის. მაგრამ... 1979 წლის მაისში ოპერაცია მაინც გარდაუვალი გახდა.

30 წლის ასაკში სპორტსმენისთვის ასეთი რთული ოპერაცია (დისკის ორმაგი ამოვარდნილობა ჰქონდა) უმეტესწილად სავალალო შედეგებით მთავრდება — იგი ვეღარ უბრუნდება სარბიელს, რაც არანაკლებ ტრაგიკულია, ვიდრე მძიმე, განუკურნელი ტრავმა. ბატონმა გურამ ფარულავამ უაღრესად კვალიფიციურად ჩაატარა ოპერაცია და მიხეილს მეტად საჭირო რჩევაც მისცა — ერთ წელიწადს შენთვის ფიზიკური დატვირთვა არაფრის



დიდებით არ შეიძლებაო. ეს თავის დაზღვევა არ იყო — იმგვარი დატვირთვის გაგრძელება, რაც ქორქიას დონის სპორტსმენს აქვს, ასეთი ოპერაციის შემდეგ წარმოუდგენელია.

ბუნებრივია, მიხეილმა ძალიან ინერვიულა, ამდენ ხანს უქმად ყოფნა ვერც კი წარმოედგინა. იმაზე დარღობდა, ვაითუ ვეღარ ვივარგო, ვაითუ ვეღარ ვითამაშო. მაგრამ მისა ხასიათი ხომ კარგად ვიცით. ვერ მოისვენა, ხუთიოდე თვის შემდეგ, თავი კარგად იგრძნო თუ არა, ისევ დაიწყო ვარჯიში, ისევ შევიდა დარბაზში, მალე გუნდსაც შეუერთდა და ახალი სეზონისთვის დაიწყო მზადება.

საკავშირო ჩემპიონატის პირველ მატჩში მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდთან იგი პირველი ტამის მეათე წუთისთვის შემოვიდა მოედანზე და, როგორც მიმომზილველი აღნიშნავს, „მისი შემოსვლის შემდეგ „დინამოს“ მოქმედებას მეტი აზრი დაეტყო“. 12 ქულა მოაგროვა და მეტ-ნაკლები წარმატებით ითამაშა.

ბევრად უკეთ თამაშობდა იგი მეორე შეხვედრაში, რიგის ვეფ-ის წინააღმდეგ. გარდა იმისა, რომ 14 ქულა მოიპოვა, უკვე მეორე ტამის მეხუთე წუთისთვის მეხუთე პერსონალური შენიშვნაც მიაღებინა თავის მეურვეს, ჟვიგურსს, რომელსაც გასაქნი არ მისცა.

მერე იყო მატჩი „სტრონტელთან“. „დინამო“ 44:53 აგებდა. „ამ წუთებში თბილისელთა კაბიტნის მიხეილ ქორქიას შემართება რომ არა, კაცი ვერ იტყოდა, რით დამთავრდებოდა ეს შეხვედრა. საშუალო და შორი მანძილებიდან ზუსტი ტყორცნებითა და დერიუგინის ამოქმედებით კაპიტანმა ამ კრიტიკულ სიტუაციაში შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა“, — ვკითხულობთ გაზეთის მიმოხილვაში. საბოლოოდ შეხვედრა „დინამომ“ მოიგო — 82:81 (38:45), ხოლო ქორქიას ანგარიშზე 19 ქულა იყო.

„დინამო“ ვილნიუსის „სტატიბასაც“ ერთი ქულით მოუგო (80:79), მიხეილმა კი 21 ქულა მოაგროვა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და, როგორც წინა მატჩებში, ამ კრიტიკულ სიტუაციაშიც გადამწყვეტი სიტყვა ლიდერმა, მიხეილ ქორქიამ თქვა. კაპიტანმა თავგანწირული თამაშით ხელიდან გამოჰვევილი მეტოქეს მეტად საჭირო ქულები და მეორე ტამის მე-17 წუთზე „დინამო“ უკვე 78:71-ს იგებდა...

ერთი სიტყვით, დაბრუნდა თუ არა, დინამოელთა კაპიტანი უმალ ფიცხელ ბრძოლებში აღმოჩნდა ჩაფლული. ამას არ შეიძლებოდა დალი არ დაესვა

მისი ჯანმრთელობისთვის. ამიტომაც იყო, 1980 წლის იანვარში რიგაში პირველი წრის მეორე ტურში ორ თუ სამ მატჩში ითამაშა და... კალათბურთსაც დაემშვიდობა. „ვიგრძები, რომ ის აღარ ვიყავი, ჯანი აღარ მომდევდა და მეც ტრიბუნების სტკენას წასვლა ვარჩიე“, — მითხრა თავის დროზე დიდოსტატმა. არადა, რომელ სტკენაზეა ლაპარაკი. ხომ ვნახეთ, ახალდაბრუნებულმა ქორქიამ როგორ ითამაშა თბილისის ტურში. მან ასევე განაგრძო თამაში რიგაშიც. ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივთან“ კვლავ საუცხოო იყო ქორქიადერიუგინის ტანდემი, მიშას ანგარიშზე 14 ქულა იყო, კოლიამ კი 36 ქულა დააგროვა. კიევის არმიელებთან პირველ ხუთში მიხეილმა 12 ქულა მოაგროვა, ხოლო მთლიანად მატჩში — 18. ლენინგრადის „სპარტაკთან“ კაპიტანმა თავისი გუნდს 27 ქულა მოუტანა. და ეს გამოდგა მისი გედის სიმღერა. არადა, ექიმებისთვის რომ დაეჯერებინა, შეიძლება ბევრად უკეთ ყოფილიყო და კარგა ხანსაც ეთამაშა. ის ხომ საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყო და ბოლომდე დარჩა თბილისის „დინამოს“ ლიდერად და იმედად.

1981 წლის 27 სექტემბერი მიხეილ ქორქიასთვის უაღრესად ნაღვლიანი დღე იყო — დიდი კალათბურთიდან წასვლის დღე...

თითქოს გუშინ იყო, გაუბედავად რომ შეაბიჯა სპორტის სასახლეში, შეაბიჯა და მაშინვე, ათიათასიანი სასახლის გაჭედილ ტრიბუნებს რამდენიმე წუთში მოსწყდა მქუხარე ტაში და ოვაციები, რომელიც სპორტსმენს მთელი ცხოვრება დაჰყებოდა.

მხრებჩამოყრილი, ზანტი, უემოციო, უჯიგრო მიხეილ ქორქია არავის ახსოვს, მთელი თავისი სპორტული ცხოვრების განმავლობაში, მოედანზე იყო თუ სათადარიგო სკამზე სულის მოსათქმელად რამდენიმე წამით ჩამოჯდარი, ერთთავად ბრძოლაში იყო ჩაბმული, მსხვერპლზე დასაძგერებლად გამზადებული ფაფარაშლილი ლომივით!

ხალხის უსაზღვრო სიყვარული გაახსენდა, გულშემატკიცრების ანთებული თვალები... ტებილ-მწარე მოგონებები აეძალა...

მაგრამ ეს იყო, გუშინ იყო, გუშინნინ...

იმ დღეს კი გაზეთები აჭრელდა სათაურებით: „გამოთხოვება დიდ სპორტთან“, „ლომეკაცი სარბიელს ტოვებს“, „თავგანწირვა“, „გმადლობთ, მიშა!“...

ლევან ინწკირველმა მითხრა, კაცი კალათბურთში დავბერდი, ვინ აღარ მინახავს, მაგრამ „დინამოსთვის“ ასეთი საჭირო მოთამაშე მეორე არ მეგუ-



ლებაო. მთელი გუნდი იყო — ლიდერიც, იმედიც, შავი მუშაც, უნივერსალიც. ეს ახლა ყოფენ ნომრებად, თორემ მიშასთანა მცველი, მიშასთანა ფორვარდი, მიშასთანა ცენტრი... ყველა ამ თვისებით შემკული კალათბურთელი საქართველოს არ ჰყოლიაო!

დავით მაღალთაძემ განსაკუთრებით გამოყო მიხეილის თამაში დაცვაში, ქართველებს ამ ფუნქციის შესრულება გვიჩირს, გვეზარება, მიშა კი საკუთარ ფარს მახვილით სდარაჯობდა, იერიშზე მხოლოდ მას შემდეგ გადადიოდა, როცა თავის კალათს დაცულს დაიგულებდაო. „საერთოდ, მიშასთვის ნებისმიერი ამპლუა მისაღები იყო, ის ყველგან, მოედნის ყველა კუნჭულში ძლიერი იყო. ისე, მე თუ მკითხავთ, მიშა საქართველოს ისტორიაში საუკეთესო კალათბურთელია“.

პატა გურასპაული: „ჩემთვის კალათბურთი მიშა ქორქიასგან იწყება, მეორე ასეთი კალათბურთელი საერთოდ არ მინახავს, ჯორდანებსა და მისნაირებს არ ვგულისხმობ. ჩემთვის მიშა საქართველოშიც და მის გარეთაც საუკეთესო მოთამაშეა, ყველაზე მაგარია, ნამდვილი უნივერსალი. ჯიგარი ჰქონდა, აფოფრილი ლომი იყო, რომელიც გარშემო ყველაფერს ნოქავს, მიშა იმედი იყო გუნდისთვის, კალათბურთისთვის, ხალხისთვის, ყველასთვის!..“

ასეა თუ ისე, მიხეილ ქორქიამ ვაჟკაცურად დატოვა დიდი სარბიელი, თუმცა, რალა თქმა უნდა, შინაგანად უთუოდ განიცდიდა საყვარელ საქმესთან განშორებას. ამას ისიც მონმობს, რომ სამჯერ მაინც დაბრუნდა კალათბურთში, მაგრამ უკვე მწვრთნელის რანგში, ხოლო მრავალი წლის შემდეგ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის თავკაცობა გადაწყვიტა.

პირველად მაშინვე დაბრუნდა, 1980 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა კალათბურთელთა გუნდი „ბურევესტნიკი“, რომლის უფროს მწვრთნელადაც მიშა დაინიშნა.

იმ წელს ახალშექმნილმა გუნდმა მხოლოდ ის შეძლო, რომ პირველ ლიგაში ადგილი შეინარჩუნა და მაყურებელს თავი კარგი თამაშით დაამახსოვრა.

„ბურევესტნიკიდან“ წამოსვლის შემდეგ მან ძალიან მაღლე იშოვა სამსახური, ისიც თავისი სპეციალობით, რაც ასე ადვილი არ არის. ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში კომერციული ნაწილის უფროსის მოადგილედ დაიწყო მუშაობა. სანარმოში მისვლიდან ერთი წლის თავზე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გუგული დანელიამ ერთი მეტად

მაცდუნებელი წინადადებით მიმართა. იმ წელიწადს (1982) „დინამომ“ თამაში ვერ ააწყო და გუნდს უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხე დაემუქრა. ბატონშია გუგულიმ გუნდის გადარჩენა სთხოვა.

„ასეთ საქმეს მოუფიქრებლად რას დავთანხმდებოდი, რამდენიმე ლამე თვალი არ მომიხუჭავს, ზურიკო საკანდელიძეს შევეხმიანე, ასეთი წინადადება მივიღება და, თუ გუნდში მისვლა გადავიწყიტე, მხარში ხომ ამომიდგები-მეთქი. ერთი სიტყვით, ორივემ რამდენიმე დღე ვიჭყლიტეთ ტვინი და ბოლოს დავთანხმდით,“ — მითხრა ერთხელ მიხეილ ქორქიაშ.

ამ ეტაპს უკვე პაატა გურასპაული იგონებს: „49-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველ ექვსეულში შესვლას ვინ ჩივის, მეათე ადგილზე გავედით და ახლა IX-XII ადგილებისთვის მებრძოლ გუნდთა შორის ბოლო ექვსივე მატ-ჩი უნდა მოგვეგო, რომ მერვე ადგილზე „ავმძრალიყავით“, ყველა სხვა შემთხვევაში პირველიგელებთან ფლეი-ოფებს ვერ გადავურჩებოდით და უმაღლეს ლიგაში ადგილს ვერ დავიძევებდით.

ხუთი შეხვედრა მოვიგეთ, „კალევთან“ კი ერთი მაინც წავაგეთ და გადასასვლელი მატჩების გამართვა მოგვიხდა, თუმცა ის ბარიერი იოლად დავძლიერ და უმაღლეს ლიგაში დავრჩით.

წარმოიდგინეთ, 17 მატჩი წაგებული გაქვს, მათ შორის შენს უშუალო კონკურენტებთანაც, მერე კი ზედიზედ ხუთ შეხვედრას იგებ. ეს ხომ, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელების დამსახურებაა. გემასსოვრებათ, რა ამბავში იყვნენ ზურაბიც და მიშაც. სათადარიგო სკამზე ვერ ჩერდებოდნენ, ლამის იყო მოედანზე გამოცვენილიყვნენ, ერთთავად თამაშში იყვნენ ჩართულნი“.

— ალბათ პირველი და ერთადერთი შემთხვევა იყო, საკუთარი სურვილით რომ დავტოვეთ გუნდი მე და ზურიკომ, — განაგრძობს მიხეილ ქორქია საუბარს, — შეგვაჭამეს, ვისაც არ ეზარქოდა, ყველა ჩვენს საქმეში ყოფდა ცხვირს. თან საინტერესო ის არის, რომ ამ ჩინოვნიკების აბსოლუტურ უმრავლესობას ისეთივე კავშირი ჰქონდა კალათბურთთან, როგორიც მე, ვთქვათ, ბალეტთან. ბოლოს, ეს ყველაფერი ყელში რომ ამოგვივიდა, დავი-ხურეთ ქუდი და წამოვედით.

...მერე იყო მოსკოვი, როცა მიხეილს ადგილობრივი „დინამოს“ მეორე მწვრთნელის პოსტი შესთავაზეს. მთავარი მწვრთნელი იყო ცნობილი რუსი სპეციალისტი ევგენი გომელსკი. ქორქიას მუშაობით ყველა კმაყოფილი იყო,



გუნდმა საკავშირო ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც სულაც არ იყო ცუდი მაჩვენებელი. თავად გომელსკიმ მითხვა, მიშა ძალიან მეხმარებოდა, ხელდაკაპინებული მუშაობდა და ბიჭებს მუდამ საომრად აქეზებდა: გახსოვდეთ, მოედანზე თქვენს პირისპირ მტერი დგას, რომელიც უნდა გაანადგუროო.

თბილისში რომ დაბრუნდა, მრავალდარგოვან კომბინატში დაიწყო მუშაობა კომერციულ დირექტორად.

მთელი ექსი წელიწადი პატიოსნად იმუშავა. კოლექტივში უდიდესი პატიოისცემით სარგებლობდა, ყველა თვალებში შესციცინებდა, კეთილშობილებისა და ხელგაშლილობის გამო დიდიან-პატარიანა ყველა მისი მადლობელი იყო. კარგი შემოსავალიც ჰქონდა.

აბა, კომუნისტების დროს ასე ცხოვრება ვის ეპატიებოდა, მაშინ სამთავრობო წრეებში ბიზნესმენობა (ხალხში — საქმოსნობა) ძალიან ცუდ ტონად ითვლებოდა და აკი არა ერთს და ორს ახეხინეს ციხის კედლები. ყველა საბჭოთა ადამიანს თანაბრად უნდა ეცხოვრა, არც ნიჭს დაგიდევდნენ და არც ცოდნას.

მაგრამ მიხეილ ქორქია ხომ სხვა კატეგორიის კაცია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოლიმპიური ჩემპიონია!

ერთი სიტყვით, 1985 წელს ოლიმპიური ჩემპიონი მიხეილ ქორქია დააპატიმრეს და ხმა ალიმალლეს „ბიბისიმ“, „ამერიკის ხმამ“, სხვა დასავლურმა სააგენტოებმა, საბჭოთა კავშირში ოლიმპიური ჩემპიონების დაჭერაც კი დაიწყესო.

ცდა არ დამიკლია, შევხედი მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს შოთა გორგოძეს, ყოფილი აპარატის სხვა წარმომადგენლებს, ქორქიას შინაურებსაც დაწვრილებით გამოვკითხე. ათასი აზრი, ათასი ჭორ-მართალი დადიოდა თავის დროზეც. რა თქმა უნდა, ყველას საკუთარი შეხედულება აქვს, ყველას თავისი თავი მართალი ჰქონია.

არადა, წარმოგიდგენიათ? 96 პრიმა მუხლით ასამართლებდნენ, 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია ელოდა. ფაქტობრივად, კლავდენ კაცს! კიდევ კარგი, ცოტათი მაინც მოუხმეს გონებას და საბოლოოდ, 45-ე მუხლი შეუფარდეს, „პატივი სცეს“, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონსა და ტიტულიან სპორტსმენს. ანუ ხუთი წელი მიუსაჯეს. მისი

շմբռոսոյ յալովալու, տամյնա, սենորեց իմ նելունաճև նազուգա პորվելագ սյուլաժու... տպմբա, սածոլոռոգ նելունաճևա դա պերա տպեթո გամուշնալու. յա մաժունաց այս եցեծուա. մորարուլո եմեծու, մուսմա პարբունորեծմա ոյուլո Շյյըրոկից դա մոխեյուլո գաատացուսութուլու. ման եռմ առո յապուս բուրուտո մարբում նուճա դա ցոխեթու մարբու Շեքուդա.

Ցոխեմցու յա մարտունաց յամոյոյուրո սուգյապու Շյյիմնա. սասամարտունո դարձանունա նուն նամուզուդա (?!). յազորաթո յրութեղ որտափալուս ցոխեթո „Վեժմե՛շոյշմոյուցեծուլո“ տապուս ոյեթու մովուգուճա. արա, ծագոնո մուժա, տյաշենո սածութեծո յաշը ար մոսուլաս, յապա օսկումբուծնեն. ռոտեշյեր նազուգա դա նամուզուդա. վելար ոտմենճա, դաանյուճա յապա ներչեպո. ուշուգա, դափերաս վեր յագայուրիհեծու դա դա դրույլագ յանդուգա նասվուա. ծուլոս դասկուցու.

„ուցու, դմերուտո ռուգուս յոնճամե? հյմս յապա ցոխես յարո ռոմ դասկուրա դա հյմո յագարա յայուրոնա դաանունաե,“ — ուցուցուս մերը, ծուլոս նույնութու մոխեյուլ յուրէյու դա ամասաց դասեյնս — „1987 նուամցու մեց մեյոնա, ռոմ ուն նուտեծո, ռուգուսաց ուղումքուրո հյմունոնունա մովուպուց, հյմս կերպուրեպաթո յայուրաթյ ծեղնույրո ուղու, մայրամ յան ուցուս, ծեցու ռաս յամիթագուցես?! 87-ի ցոխենան յամուսվուս նուտեծո ուղումքուր սամ նամից լուրեծուլո ալմորինճա“ ...

Ցոխենան ռոմ յամուզուգա, ցիսագու, շոյուրեծուլո ուղու, մալուս մեմիմեց յանուցուգա յայուրացուր. արացուս դանաշեա ար յանդուգա, արացուստան լուպարայուս տապո ար կյունճա. դա յա մալուս ուղուգ յասացուա. յապու, ռոմելուց մտյուլո կերպուրեպա այուրելունուսկուն, սայուցուսուսկուն, ուցուալուրուսկուն մուսնրագուս, յապագ յուսուսկուս մուլմա ռոմ ալմորինճեպա, արացուրո յասացուրուս, յայուլո սածուլոռոգ յայությունու դա կերպուրեպա դամտացուրեծուլագ հատալուս.

Սայանի ռոմ յարբունույլագ յրմենունա տապս, յա յրմենունա յատացուսությունուս Շյյմցուցաց յամուչպա. ներչեպո ույս կյունճա դափումյուլո, սմաս տապո վեր մուանճա. մարտալուս, սամելու տապս ար յեցեծո, մայրամ սյուդրաստան ռոմ յությունուգուճա, տապս ար թուցացու.

Ուցուրույուսուս ուատար մոմունուշուուլո սենորեց դրույլագ յեյեմունա, մուգու, դաածունճու յալատածուրուտու, ույս յունուցուրուսուգյութուս յունճու հակար, ուրբու յայուլո յագայուրուցու. դա մոխեյուլուց յուցու յաուլուս մուսնրեծուլմա մեծրմուլմա յուլմա, յրուտո նուտու ար յուգույրու, — ռագցան մտեռուց, ռագցան դամացալուս դա մենճնեն, յուգույրու յունճա յացարտունո յա նունուս դա յա սուտօնո. մեռու



სულიეთ თორთლაძე  
და მიხეილ ქორქვა



1981 წლის 27 სექტემბერი  
მიხეილ ქორქვასთვის უაღ-  
რესად ნაღვლიანი დღე იყო  
— დიდი კალათბურთიდან  
ნასვლის დღე...

დღესვე მივიდა უნივერსიტეტში და წინა წლის საქართველოს ჩემპიონი გუნდი ჩაიბარა. 1988 წლის სექტემბერი იყო...

ნუგზარ მარკოშვილი ასე იგონებს იმ პერიოდს: „1988-89 წლებში უნივერსიტეტის გუნდმა მეორე და მესამე ადგილები დაიკავა საქართველოს ჩემპიონატში. მიშამ მაინცდამაინც კარგ დროს ვერ ჩაიბარა გუნდი, რადგან მის მოსკლას თაობათა ცვლა დაემთხვა და არასტაბილური შემადგენლობა იყო. მე მეორე მწვრთნელად ვმუშაობდი და კარგად მახსოვს, როგორი დისციპლინა დაამყარა. თუ დამიჯერებთ, ერთი ვარჯიშიც არ გაუცდენია, სულ ბობოქრობდა, მუდამ უკმაყოფილო იყო მოთამაშებისა. ბუნებით მაქსიმალისტი იყო და ბიჭებისგანაც მაქსიმუმს მოითხოვდა. ძალიან რომ გაბრაზდებოდა ხოლმე, რუსულსაც გაურევდა და ასე რუსულ-ქართულად ტუქსავდა და ახალგაზრდებს.“

გურამ მინაშვილმა მეტად საინტერესო რამ მიამბო: „კაქტუსში“ მოთამაშე ბავშვებმა სკოლა რომ დაამთავრეს, ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გუნდის თავკაცებს შესთავაზა, ორ შემადგენლობას, ანუ პირველ 25 კაცს სტუ-ის სახელით ესპარეზა და, ამგვარად, მისაღები გამოცდები მათს სასწავლებელში ჩაებარებინა. დანარჩენები, ანუ მესამე გუნდი, უფრო სუსტები, უნივერსიტეტში წავიდნენ. სწორედ ამ დროს ჩაუდგა მიშა ქორქია უნივერსიტეტის გუნდს სათავეში. სტუ-ს კი თამაზ აქრუაშვილა და ლევან ჩხიკვაძე წვრთნიდნენ. ერთი წლის თავზე მიშამ ძალიან თავისუფლად მოუგო იმ პირველ ნომრებს, რა გითხრათ, ტაქტიკით, ტექნიკით, ყველაფრით დაჯაბნა. აი, მაშინ გამოჩნდა მიშას განსწავლულობა, მწვრთნელის ალლო.“

მიხეილ ახვლედიანი მიხეილ ქორქის ერთ-ერთი საყვარელი მოწაფე იყო. გთავაზობდა მის ნაამბობს: „მიშა რომ ციხიდან გამოვიდა, სულიერი შვება სჭირდებოდა და ყველაფერი სტუდენტურ კალათბურთში ჩადო, უნდოდა, იქიდან დაეწყო, საიდანაც თვითონ წამოვიდა.“

სხვებთან შედარებით უნივერსიტეტს სუსტი გუნდი ჰყავდა, სულ სტუდენტებით დაკომპლექტებული, მაგრამ იმდენი მოახერხა, ფინალამდე გაგვიყვანა. არავინ გვთვლიდა ქართული კალათბურთის მომავლად, განსაკუთრებულად ნიჭიერ ხალხად, კალათბურთს გასართობად რომ ვთამაშობდით. ახალმა მწვრთნელმა დაგვაჯერა, რომ დიდი საქმეების კეთებაც შეგვიძლია,



მიდით, ბიჭებო, მიაწექით, ბოლომდე შეუტიეთ, თქვენ ვინ უნდა გაჯობოთო. და ჩვენც მეტი აღზნება რად გვინდოდა! ჩვენც, ამ „მეორეხარისხოვანმა“ კალათბურთულებმა, დავიჯერეთ და, ვინც არაფრად გვთვლიდა, იმათ ვუგებდით.

...მიშას გარდა სხვა ვინ წავიდოდა თავისი მანქანით უკრაინაში კალათბურთელის საძებნელად?! ანდრეი ტიუბინი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და უკრაინის რომელიდაც გუნდში თამაშობდა. იმათ ყველა მაღლები ჰყავთ, ჩვენ კი სულ დაბლები ვართო, თავისი მეგობარი ჩაისვა მანქანაში და არ გაუტია?! მაგრამ, სამწუხაროდ, სულ ამაოდ იარა ამხელა გზაზე წინ და უკან. ტიუბინი უკვე ერთ-ერთ გუნდში თამაშობდა უკრაინის ჩემპიონატში და უარი უთხრა. მიშამ საქართველოს ჩემპიონატის ფინალში შუა თამაშში მოგვისწრო...

სოხუმში მატარებლით მივდივართ და კუპეში ასეთ რამეს მეუბნება: მხოლოდ ერთ რამეზე იფიქრე, რომ ხვალ ხუთი ბურთი პირველ ტაიმში უნდა ჩააგდო, ხუთი მეორეშიო. თუ ამას გააკეთებ, თამაში მოგებული გვაქვსო. როგორი დავალება! მთელი ღამე ამაზე გფიქრობდი, ჩემთვის გავიარე მთელი მომდევნონ თამაში... იმ შეხვედრაში 24 ქულა მოვიპოვე.

მიშასთან მუშაობა ნამდვილი დღესასწაული იყო, ვარჯიშზე ჩვენთან ერთად თამაშობდა, დარბოდა, დახტოდა, გვეჩებუბებოდა.

„ფიზიკაში“ კუს ტბაზე გვავარჯიშებდა, გაზ-24 ჰყავდა და აღმართში უკან მოგვყვებოდა, აბა გეზარმაცა! ეს დატვირთვა გვსიამოვნებდა კიდეც, იმიტომ რომ თვითონ იყო უსუფთავესი პიროვნება, გულწრფელი, გულუბრყვილო, პირში მთემელი... პატარა ბავშვივით უხაროდა ყველა ჩვენი გამარჯვება, თუ წავაგებდით, ჩვენზე მეტად გაბოროტდებოდა ხოლმე. სულ რაღაც ახლის ძიებაში იყო“...

...ბოლოს და ბოლოს, მიხეილ ქორქია მიხვდა, რომ ამ საქმისგან ბევრი არაფერი გამოვიდოდა. კაპიკებს ძლივს აწებებდა ერთმანეთს და თვიდან თვემდე თავი ძლივს გაჰქონდა.

მრავალდარგოვან კომბინატში მუშაობის დროს თავისი ძველი უკრაინელი ნაცნობები გაიხსენა. ხშირად უწევდა მთელ საბჭოთა კავშირში მივლინებით სიარული და ბევრ რესპუბლიკაში ჰყავდა ნაცნობები. კიევი კი იმიტომ არჩია სხვას, რომ იცოდა, იქ სანია სალნიკოვი ცხოვრობდა, მისი მეგობარი,

და მარტო არ იქნებოდა. სალნიკოვსაც რაღაც ბიზნესი ჰქონდა და იქნებ სუ-  
ლაც ერთად წამოენებოთ რამე.

მართლაც, გულიც გადაყყოლა და საქმეც გაიჩინა, ცოტაოდენი ფულიც  
იშოვა. მერე მოსკოვშიც გააბა რაღაც კონტაქტები. ერთი სიტყვით, წარმა-  
ტებული ბიზნესმენი გახდა. მაგრამ...

მართალია, შიდა ომებში ჩაბმულ საქართველოში ვითარება ძალიან  
არეული იყო, მაგრამ (და იქნებ სწორედ ამიტომ) უცხოეთში გული აღარ გაუ-  
ჩერდა და სამშობლოში დაბრუნდა.

...ცუდად პირველად მოსკოვში გახდა და ბურაკოვსკის კლინიკაში გა-  
მოკვლევა ჩაიტარა. არაფერია, ეს „სპორტული გულია,“ თავის დროზე დიდი  
დატვირთვების გამო ცოტათი გადიდებულიაო, უთხრეს ექიმებმა. ეტყობა,  
მაშინ ვერ მიხვდნენ სატკივარს, თორემ შეიძლება თავიდანვე სხვანაირად  
ემუურნალათ.

ერთი პერიოდი კრასნოგორსკში, ვიშნევსკის კლინიკაში იწვა, სადაც მი-  
სი მამიდაშვილი მუშაობდა. ყურადღებას არ აკლებდა, იმ დროს იქ მყოფმა  
ამერიკელმა სპეციალისტებმაც გასინჯეს და უთხრეს, საოპერაციო არ ხა-  
რო. ისევ რომ ჩავიდა გამოკვლევებზე, ერთი წლის წინ გაცნობილ პროფე-  
სორს შეხვდა და იმან გაიოცა, შენ კიდევ ცოცხალი ხარო?.. მაშინ კი ძალიან  
შეშინდა და დაფიქრდა, ეტყობა, სერიოზულად ვარ ავად, თორემ ასეთი რამ  
რატომ მითხვაო.

... მთელი რვა-ათი წელიწადი მიხეილ ქორქია უფუნქციოდ იყო. ეს პერი-  
ოდი იმდენად მძიმე იყო საქართველოსთვის, ოლიმპიური ჩემპიონები კი არა,  
თბილისიდან ვინმე კოსმოსში რომ გაფრენილიყო, ალბათ ისიც უყურადღე-  
ბოდ დარჩებოდა. ქვეყანა დანაწევრდა, ტერიტორიები ერთმანეთის მიყო-  
ლებით დაიკარგა, მთელი საქართველო, სოფლიან-ქალაქიანა, დაიმშა, არც  
პატრონი ჩანდა ვინმე და არც მშველელი. მმართველი პარტია ტყუილებით  
ბერავდა ფუნქციადაკარგულ ერს, დაშლილ-დანაწევრებული ოპოზიციური  
პარტიები კი საით მიერკებოდნენ ხალხს, არავინ უწყოდა.

მიხეილ ქორქიას ავადმყოფი გული კიდევ უარესად დაუავადდა, ნერვები  
ეშლებოდა, გული სტკიოდა, მეცნიერებს, პროფესორებს საკუთარი ოჯახის  
ნივთები რომ გამოჰქონდათ კაპიკებად გასაყიდად, მშრალი ხიდისკენ გავ-  
ლას ერიდებოდა, ვინმე ნაცნობი არ შემხვდეს და ცალკე ის არ დაიწვეს სირ-



ცხვილით და, მათი შემხედვარე, ცალკე მე არ დამემართოს რამეო. წუხდა, შფოთავდა, გაგონილა, კაცო, ასეთი რამ, ეს ერთი ბენო საქართველო ხუთა-სიოდე კაცის საგამგებლოდ არ იქცაო?!

მეტი ველარ მოითმინა და ისევე როგორც ბევრი პატივსაცემი სპორტული მოღვაწე, ჯუმბერ პატიაშვილის პარტიაში გაწევრიანდა. იქ იმდენი ინტელიგენტი და წესიერი ადამიანი იყო გაერთიანებული, რომ იმედი ჰქონდათ, არჩევნებში გავიმარჯვებთ და იქნებ ჩვენ მაინც წამოვაყენოთ ქვეყანა ფეხზე.

მიხეილ ქორქიას პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაბმა კიდევ ერთმა შემაძრნუნებელმა ამბავმა გამოიწვა. ალბათ გახსოვთ, რა აუკიოტაჟი მოჰყვაცნობილი ფეხბურთელის, საქართველოს ნაკრების კაპიტნის კახი კალაძის ძმის გატაცებას. მაგრამ ეს ალელვება უფრო ხალხში იგრძნობოდა, ხელისუფლებას კი, შორიდან ასე ჩანდა, სულ არ ალელვებდა ეს საქმე, ანდა, კვანძის გახსნის იმედი არ ჰქონდა და წინასწარვე ჩამოყარა ხელები.

ასეა თუ ისე, ეს იყო უკანასკნელი ფიალა, რომლის შემდეგაც მიხეილ ქორქიამ გადაწყვიტა წასულიყო იქ, სადაც გული უკარნახებდა.

აქვე ვიტყვით, რომ მას პოლიტიკოსობა არც უფიქრია. უბრალოდ, სჯეროდა, რომ, რაც მეტი პატიოსანი და სამართლიანი კაცი შეიკრიბებოდა ერთად, მით უფრო ემველებოდა ქვეყანას. ამიტომაც არ გასჭირვებია უკან გამოსვლა, თავისი თვალით რომ დაინახა, რას ნიშნავს პოლიტიკა, იქაურობა მიატოვა და შინ ჩაიკეტა.

მაგრამ აქ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რამ მინდა ვთქვა: ამ ვითარებაში მიხეილ ქორქია, ცხოვრებისგან მოღლილი და გატეხილი ახალგაზრდა კაცი, ისე წარმოჩნდა, როგორც მას ეკადრებოდა. ყველას კარგად გვახსოვს, როგორი ლომგული იყო მოედანზე, როგორ იბრძოდა „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე“, როგორ ბობოქრობდა! ზუსტად ასეთი მიხეილ ქორქია ვიხილეთ იმ პერიოდში, ოლონდ გაჭალარავებული, გამობრძედილი, არა სპორტულ ფორმაში, არამედ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, გამოწყებილი. დანარჩენი იგივე იყო — იგივე მრისხანება, დაუნდობელი მტრის წინააღმდეგ ხმალამოლებული გალაშქრება, სიმართლის პირში მიხლა. ასეთი იყო იგი ტრიბუნაზეც, პრესისთვის მიცემულ ინტერვიუშიც, პროკურატურაშიც.

კახი კალაძემ უარი რომ თქვა საქართველოს ნაკრებში თამაშზე და პრო-ტესტის ნიშნად უკრაინის მოქალაქეობის მიღება გადაწყვიტა, ანუ, ფაქტობ-რივად, საქართველო თავის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს კარგავდა. ეს ინფორმაცია პირველად გაზიერდა „რეზონანსშა“ გამოაქვეყნა.

მიშას ბრაზი მოერია, იმ მომენტში მას ყველაზე უკეთ ესმოდა კახის გან-ცდა. დიდ სპორტსმენს ესმოდა დიდი სპორტსმენის გასაჭირი. მიშასაც ხომ თავის დროზე ბევრი ტკივილი მიაყენეს, ბევრი უსამართლობა იწვნია. გარ-და ახალგაზრდა კაცის გატაცებით გამოწვეული ტრაგედიისა, მიშა იმაზეც ფიქრობდა, რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საქართველოს ნაკრე-ბი. ახლავე დავურეკავ ჩემებსო, თქვა და დაურეკა ზურიკო საკანდელიძეს, გურამ სალარაძეს, სიომა ბარქაიას, ვოვა გუცაევს...

მეორე დღეს ეს ხალხი ბრიფინგზე შეიკრიბა. მიშამ ძალიან მკაცრად მო-ითხოვა ხელისუფლებისგან ამ საქმის გამოძიება და კახის სახელზე მიმარ-თვაც წაიკითხა, სთხოვდა, თავი შეეკავებინა, ჰპირდებოდა, რომ ის და სპორ-ტსმენთა ჯგუფი ყველაფერს გააკეთებდნენ, რათა ხელისუფლება საქმეს სერიოზულად მოჰკიდებოდა.

ერთი სიტყვით, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მიხეილ ქორქიამ შეუ-ნარჩუნა კახი კალაძე ჩვენს ქვეყანას.

ამის მერე იყო ქუთაისი და ეს იყო მიხეილ ქორქიას ბოლო გაელვება, ოლონდ ამჯერად სხვა ამპლუაში. ბიზნესმენებმა მიხეილ ქორქიას შესთავა-ზეს, ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდისთვის ეხელმძღვანელა. ეს ის დრო იყო, როცა გუნდიცა და ინფრასტრუქტურაც ფაქტობრივად დაშ-ლილი იყო. ფეხბურთელებს ფულს ვერ უხდიდნენ და შინ იყვნენ გაშვებული. ერთი სიტყვით, ყველაფერი თავიდან იყო ასაშენებელი.

რამდენიმედღიანი ფიქრის შემდეგ, მიხეილი დათანხმდა კლუბის პრეზი-დენტობას, მთავარ მწვრთნელად დავით ყიფიანი მიიჩვია, ვიცე-პრეზიდენ-ტად — თავისი სიძე დიმიტრი რამიშვილი.

იმ დღიდან დაიწყო გუნდის აღმშენებლობა — პირველ წელს საქართველოს თასი მოიპოვეს, შემდეგ სამჯერ ზედიზედ ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ, თასის გათამაშებაში კიდევ ერთხელ გაიმარჯვეს და ერთხელაც ფინალში გავიდნენ.

გარდა ამისა, და ეს არანაკლებ ყურადსაღებია — მიშას დროს აიგო ქუ-თასში „ტორპედოს“ საწვრთნელი ბაზა, აშენდა სტადიონი, იმ პერიოდში შე-



იქმნა საცხებით სრულყოფილი ინფრასტრუქტურა, იმ დროს მიიწვიეს გუნდში საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელები, უცხოელი ლეგიონერები. იმ თოს წელიწადში ქუთაისი ფეხბურთის მთავარ ცენტრად გადაიქცა. მიიწვიეს რეზონძმული, ვოვა გუცაევი...

რაც შეეხება ქუთაისიდან წამოსვლის მიზეზს, ეს მარტივი ასახსნელია. მიხეილს ძალიან გაუჭირდა ამდენი მოგზაურობა, მარტო თბილის-ქუთაისში წასვლა-წამოსვლა კი არ იყო, მთელი საქართველო შემოვლილი ჰქონდათ, რომელი რაიონისა თუ ქალაქის გუნდთანაც „ტორპედოს“ გასვლითი შეხვედრები ჰქონდა. სადაც კი ჩავიდოდნენ, უარს ვერავის ეუბნებოდა, მასაც სიამოვნებდა ძველ წაცნობებთან ყოფნა და თითქმის ყველგან, მატჩის დამთავრების შემდეგ გვიან საღამომდე რჩებოდნენ.

ამას ემატებოდა მისი ემოციურობა — წებისმიერ წაგებასა თუ მოგებას, წებისმიერ პროცესს, ურთიერთობებს ძალიან განიცდიდა, ხან ზედმეტი სისარული აღელვებდა, ხან ზედმეტი წყენა, მისი მოღვაწეობის დროს დაიწვა სტადიონიც, თუმცა მერე მაღლევე აღადგინეს. ასეა თუ ისე, ძალიან დატვირთული ოთხნლეული ჰქონდათ და მიხეილმაც ვერ გაუძლო, აშკარად დასჭირდა დასვენება.

...მიხეილ ქორქია კიდევ ერთხელ ეცადა აღზევებას, მაგრამ ვეღარ მოახერხა.

2001 წლის 16 ნოემბერს მიხეილ ქორქიამ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე იყარა კენჭი. მთავარი კონკურენტი იყო ბესიკ ლიპარტელიანი.

რა თქმა უნდა, გამარჯვების შემთხვევაში მიხეილი მხარში ამოიყენებდა თავის უფროს მეგობარს ზურბ საკანდელიძეს.

...ქორქია-საკანდელიძის ტანდემი დამარცხდა, უფუნქციოდ დარჩა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბესიკ ლიპარტელიანმა მიხეილ ქორქიას ვიცე-პრეზიდენტობა შესთავაზა, მაგრამ მიხეილმა ეს წინადადება არ მიიღო. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ქორქიას ადგილზე ლიპარტელიანიც ისევე მოიქცეოდა, როგორც მიხეილი მოიქცა. მით უმეტეს, ქორქიას გვარი უსაკანდელიძეოდ არც არასდროს წარმოითქმოდა და არც არასდროს წარმოითქმება! აკი ამიტომაც მიჰყვნენ ერთმანეთს ასე უეცრად, ორ კვირაში...

## მიხეილ ქორქია

დაიბადა 1948 წლის 10 სექტემბერს ქუთაისში. თბილისი. კალათბურთი (196 სმ).  
თამაშობდა თბილისის „დინამოსა“ (1965-79) და სსრ კავშირის ნაკრებში (1971-77). XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972, მიუნხენი), XXI ოლიმპიადის  
მესამე პრიზიორი (1976, მონრეალი), ევროპის ჩემპიონი (1971) და ორგზის  
მეორე პრიზიორი (1975, 77), სსრკ ჩემპიონი (1968) და მეორე პრიზიორი (1969),  
სსრკ თასის მფლობელი (1969). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი,  
ვახტანგ გორგასლის II ხარისხის და ღირსების ორდენების კავალერი.  
გარდაიცვალა 2004 წლის 8 თებერვალს.



### MIKHEIL KORKIA

Basketball player (196 cm), was born on September 10, 1948 in Kutaisi. He played for “Dynamo” Tbilisi (1965-1979) and for the USSR national combined team (1971-1977). Korkia was a champion of XX Olympic Games (Munich, 1972), bronze medalist of XIX Olympics (Mexico, 1968), champion of Europe (1971) and twice bronze medalist of European championship (1975, 1977), gold (1968) and silver (1969) medalist of the USSR championship and the USSR cup winner (1969). He was the USSR Honored Master of Sports and was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class and Order of Honor. Korkia deceased on February 8, 2004.